გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 2005 წელი.
№241 (5274)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◉ პროტესტი

## თბილისის გულში დავითის ძეგლი შემთხვევით არ დადგმულა!



იხ. მე-3 გვ.

დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა, როგორც ჩანს, ზოგიერთებს საკუთარ სახლში რემონტის შემდეგ კარადის ერთი კუთხიდან მეორეში გადატანა ჰგონიათ. ძეგლის გადაადგილება იოლი საქმე არ გახლავთ. მას აუცილებლად მისივე შესატყვისი ადგილი უნდა მოეძებნოს, სხვა შემთხვევაში ძეგლის გადაგდება გამოგვივა და არა — გადაადგილება.

◉ სულიერება

## შევეწიოთ ტაძრის მშენებლობის ფონდს!



უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით ბოლო პერიოდში გარდაცვლილი ახალგაზრდების სახელზე დაბა ყაზბეგში უნდა აშენდეს საქართველოს პირველი განმანათლებლის, წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელობის საკათედრო ტაძარი.

ამ დიდებული ტაძრის აშენება კიდევ ერთხელ უდიდეს შესაძლებლობას მოგვცემს, მრავალი წირვა-ლოცვა აღევლინოს უფლის მეორედ მოსვლამდე საქართველოს მშვიდობისთვის, მომავალი თაობის კეთილდღეობისთვის, მათი სულიერი ამაღლებისთვის და ამ ქვეყნიდან წასული ახალგაზრდების სულის საოხად.

ღმერთმა შეგაძლებინოთ თქვენი წვლილის შეტანა ამ საღვთო საქმეში.

ფონდის საბანკო რეკვიზიტებია: სს „თიბისი ბანკის" ცენტრალური ფილიალი. კოდი 220101830; ანგარიში სალარე 18700607; სავალუტო 37070282. საიდენტიფიკაციო კოდი 204472178.

ულრმესი პატივისცემით და მოკრძალებით, ფონდის სახელით —

გურამ დოჩანაშვილი,
კალისტრატე შარტავა.

## როდის მოეღება ბოლო ამ განუკითხაობას?

ვეტერანთა ბედი საქართველოში

იხ. მე-2 გვ.

## თუ ბაგიროვი ირანის აზერბაიჯანს მიიღებდა, საქართველოსთვის საინგილო უნდა დაეთმო

იხ. მე-6 გვ.

◉ ინფორმაცია

### მადლობა აფხაზ ქალბატონს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ აფხაზეთიდან დაბრუნებულ თამაზ ბერულავას და მის ოჯახს შეხვდა.

ნინო ბურჯანაძემ თამაზ ბერულავას აფხაზ გამზრდელს, რომელმაც 12 წლის განმავლობაში შეიფარა და გაზარდა 8 წლის ქართველი ბავშვი, სამადლობელი წერილი და საჩუქარი — წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის ხატები გადასცა.

როგორც ბურჯანაძემ მოგვიანებით ბიუროს სხდომაზე განაცხადა, მას სურს ქედი მოიხაროს აფხაზი ქალბატონის წინაშე. „ასეთი ქალები არიან იმის გარანტები, რომ არასოდეს იქნება ქართველებსა და აფხაზებს შორის ხიდი ჩატეხილი. რაც არ უნდა ეცადონ, თავს მოგვახვიონ შუღლი, ამ საწადელს ვერ მიაღწევენ", — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისი თქმით, აფხაზებსა და ქართველებსაც გვეყოფა გონიერება, რომ ერთად, მშვიდობიანად გავაგრძელოთ თანაცხოვრება.

### ბურჯანაძე იმუქრება



საქართველოს პარლამენტი 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის პროცედურებს შეაჩერებს, თუკი მთავრობა პარლამენტში ბიუჯეტის თანმდევ კანონპროექტებს არ წარმოადგენს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ თანმდევი კანონპროექტების წარმოდგენისა და შეჩერებულ მუხლებთან დაკავშირებით მთავრობის პოზიციის დაფიქსირება მოითხოვა.

პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინდელ ბიუროს სხდომაზე მთავრობის მიერ რვა თვის ანგარიშის წარდგენაც მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტი ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცედურების შეჩერებით იმუქრება.

ინტერპრესნიუსი

## სეირნობა საოპერო თეატრის შენობის შებილწვის ხარჯზე?!




თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ეს შემაძრწუნებელი ფაქტი არა მხოლოდ ოპერის ხელმძღვანელთა გულისტკივილი, არამედ სრულიად საზოგადოების პრობლემაც უნდა გახდეს. ყოველი ოჯახისა და მშობლისა, რომელიც თავის შვილს კვირას რუსთაველზე სასეირნოდ უშვებს. საით მივდივართ და რა მოგველის ხვალ, თუ მომავალ თაობას საკუთარი ღირსშესანიშნაობების დაფასებასა და პატივისცემას არ ჩავუნერგავთ?!.

იხ. მე-2 გვ.

◉ პანორამა



შეერთებულ შტატებში განხორციელებულმა ორმა ახალმა ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ღეროს უჯრედების მიღება ჩანასახის დაზიანების გარეშე. ეს უჯრედები შეიძლება საჭირო გახდეს ისეთი დაავადებების მკურნალობის დროს, როგორიც არის ნერვული სისტემის დეგენერაციული დაავადებები, ინფარქტის შედეგები, აგრეთვე, დიაბეტი და დამწვრობა.

* * *



ამერიკელთა ჯარებმა ერაყში ზეზუსტი იარაღის მეშვეობით გაანადგურეს მოთარეშეები. როგორც ამერიკელი სამხედროთა წარმომადგენლები აცხადებდნენ, ყველა დაღუპული ერაყის წინააღმდეგობის მებრძოლია. მაგრამ, თვითმხილველთა თქმით, დაღუპულთა საერთო რაოდენობის ნახევარს მშვიდობიანი მცხოვრებლები შეადგენდნენ.

## ძველ რევოლუციონერთა ახალი კოალიცია

იხ. მე-4 გვ.

## გრიგოლ ქათამაძე: „პრობლემა პოლიტიკურ სიბრტყეში არ გადავა"

13 ოქტომბრის ნომერში ჩვენ შევეხეთ იმ კონფლიქტს, რომელიც მოხდა კიევში, ოლეს გონჩარის ქუჩაზე ქართველი დიპლომატებისთვის საბინაო კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით. შექმნილი ვითარება ჩვენს კორესპონდენტს ვარვარა ჟლუტენკოს განუმარტა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა უკრაინაში გრიგოლ ქათამაძემ.

— 2000 წელს ჩვენ მოვაწერეთ ხელი სამთავრობათშორისო ოქმს კიევსა და თბილისში ქართველი და უკრაინელი დიპლომატებისთვის საელჩოთა შენობებისა და საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის შესახებ. საქართველოს გამოუყვეს ორი ადგილი — შევჩენკოს ბულვარზე საელჩოსთვის და ოლეს გონჩარის ქუჩაზე — საცხოვრებელი ფონდისთვის, რადგან ქალაქის ცენტრში არ არის საკმარისი ფართობი ერთი კომპლექსის ასაშენებლად. ოქმის რატიფიკაცია განახორციელა საქართველოს პარლამენტმა და იგი დაამტკიცა უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა. 2001 წელს ჩვენ მოვაწერეთ ხელი საინვესტიციო ოქმს: საქართველოს საელჩომ, უცხოურ წარმომადგენლობათა მომსახურების გენერალურმა დირექციამ და საინვესტიციო კომპანიამ. 2001 წლის აგვისტოდან 2004 წლამდე მიმდინარეობდა პროექტის მომზადების კომპლექსური პროცესი, რათა ყველას ენახა, თუ რის აშენებას ვაპირებდით. ყველა ის ინსტანცია, რომლებიც უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, უნდა გაგვევლო მიწის ნაკვეთების გამოყოფისა



და კომპლექსის მშენებლობისთვის, ჩვენ განვვლეთ. ხელი მოვაწერეთ რამდენიმე ტომ დოკუმენტს. იმ დროს ოდნავ მაინც რომ მეგრძნო მსგავსი პრობლემის წარმოქმნის საშიშროება, ნამდვილად არ მოვაწერდით ხელს ამ ქაღალდებს. მაგრამ პრობლემა გაჩნდა მაშინ, როცა სამშენებლო კომპანია მივიდა გამოყოფილ ადგილზე სამშენებლო ღობის დასადგმელად.

მე ვერ ვიტყვი უარს მიწის ამ ნაკვეთზე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ მაქვს ასეთ გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება. და მეორეც, თუ მე ვარ ამ პროცესის ინიციატორი, საფრთხე შეექმნება ორმხრივობის პრინციპსაც, რაც მე ძალზე არ მსურს, რადგან, ამ პრინციპის თანახმად, საქართველოშიც უნდა დაიწყოს უკრაინის საელჩოს კომპლექსის მშენებლობა.

იხ. მე-5 გვ.

## გადამფრენი გრიპი

ვითომ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ფრინველის გრიპის ვირუსი სახეობათა ბარიერს გადალახავს? ანუ მუტაციას განიცდის და დაიწყება მისი გადადება არა მარტო ჯაჭვით: ფრინველი — ადამიანი, არამედ ჯაჭვითაც: ადამიანი — ადამიანი? და ეს იქნება სწორედ პანდემიის მომასწავებელი. სინამდვილეში სახეობრივი აუთვისებლობადობა არც ისე ადვილი გადასალახია.



იხ. მე-3 გვ.

⊙ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი:

# ეს ხალხი მისაბაძია არა მხოლოდ თავისი ოჯახებისა და მეზობლებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის

**კვირას, 16 ოქტომბერს, ბორჯომში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ღირსების ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა რეზერვისტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დასავლეთ საქართველოში წყალდიდობის დროს ადამიანების გადარჩენაში და უანგაროდ დაეხმარნენ გაჭირვებაში ჩავარდნილთ.**

დაჯილდოების ცერემონიაზე ქვეყნის პირველმა პირმა მათ სიტყვით მიმართა. მიხეილ სააკაშვილმა, კერძოდ, განაცხადა:

— წელს საქართველოს რამდენიმე სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. ასეთი რამ საბჭოთა დროსაც ყოფილა, როცა, საერთოდ, იგი ტელევიზიით არ შუქდებოდა. ასევე ყოფილა ჩვენი წინა მთავრობის დროს, როცა ეს კი შუქდებოდა, მაგრამ მშველელი ამ ხალხს არავინ ჰყავდა. ლენტეხის, რაჭის, გურიის წყალდიდობებისა და სხვა ასეთი შემთხვევების დროს, პირველად ჩვენ ხალხს დავანახვეთ, რომ ჰყავს პატრონი და ჩვენ სახელმწიფო ვართ. ჩვენ არა მხოლოდ იმ დღეებში ვიყავით იქ, როცა ამას მასმედია აშუქებდა, არამედ მერეც.

ლენტეხში ყველა გზა, თითქმის ყველა ძირითადი ხიდი აღდგენილია და ყველა დაპირებული კომპენსაცია გადახდილია. ეს ეხება რაჭისა და ლეჩხუმის უმეტეს ნაწილსაც. ზუსტად ასევე მოხდება ოზურგეთშიც. გუშინ, მაგალითად, ორი მუშა, რომელიც აქ უნდა ყოფილიყო მეგზევეთა დაჯილდოებაზე, ოზურგეთში მუშაობდა წყალდიდობის ლიკვიდაციის სამუშაოებზე და ამიტომ ჩამოსვლა ვერ შეძლო. მუშაობა არც ერთი წუთით არ წყდება.

ასევე უნდა ვთქვა, რომ დღეს ბორჯომის პარკში ათასი ბავშვია და ასეა ყოველდღე. მათ შორის დიდი ნაწილი ხელმოკლე ოჯახებიდან არის, უმეტესობა კი — წყალდიდობით დაზარალებული რაიონებიდან. ბავშვები უფასოდ, უსასყიდლოდ, მოჰყავთ, აჭმევენ, ყველა ატრაქციონზე დაჰყავთ, აჩვენებენ თავიანთი ქვეყნის სილამაზეს და აცილებენ უკან.

მაგრამ საქართველოს ბოლო წლების ერთ-ერთი ლამაზი მოვლენა ჩვენი რეზერვისტები არიან და მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო მათი გმირობა. რადგან ეს ხალხი (მე ადრეც ვთქვი), არის ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი. როცა მე ეს ვთქვი, თბილისში აკრედიტებულმა ერთ-ერთმა უცხოელმა ელჩმა გამომიგზავნა წერილი და გამოთქვა გაკვირვება, რატომ ამბობთ, რომ რეზერვისტები ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილიაო. რა დააშავეს ბალერინებმა, დეპუტატებმა (ასეთი სია ჰქონდა), იურისტებმა და ასე შემდეგ (კიდევ სხვა პროფესიები ჰქონდა ჩამოთვლილი). ამ ელჩს, რომელიც ბოლომდე ვერ გაერკვა ჩვენს ფსიქოლოგიაში, ამას წინათ შევხვდი და დავუდასტურე, რომ სწორედ რეზერვისტები არიან ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ორი მიზეზის გამო. ერთი: ამ ხალხმა განაცხადა, რომ მზად არის სამშობლოს, თავის ქვეყანას შესწიროს ყველაზე მთავარი — საკუთარი სიცოცხლე. ეს არის მთავარი ფასეულობა, რომელიც ადამიანს აქვს. და მეორე: ამას აკეთებენ არა ხელფასის, არა რაღაც პრივილეგიებისა და უპირატესობათა გამო, არამედ სრულიად უანგაროდ და შეგნებულად. თავისუფლება ღირსებისა და სამშობლოს გარეშე ბევს არაფერს არ ნიშნავს. ეს არის ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ თავისუფალი არჩევანი თავისი ქვეყნის დასაცავად და ღირსების აღსადგენად არის ერთ-ერთი მთავარი რამ, რაც ადამიანს აძლევს ცხოვრების აზრს და დანიშნულებას.

უნდა აღვნიშნო, როგორ მუშაობდა ეს ხალხი. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა გუბერნატორმა რამდენიმე ადამიანი თავისი სიცოცხლის რისკის ფასად გამოიყვანა ადიდებული წყლიდან და სიკვდილს გადაარჩინა, ასევე სხვა ჩვენმა რეზერვისტებმა. დღესაც, აი, ამ წუთში რეზერვისტთა ბატალიონში არის ხალხი საქართველოს სხვადასხვა ადგილზე და ისინი ემზადებიან, როგორც თავის დროზე ლენტეხში, ქუთაისსა და რაჭაში, ბევრგან, სადაც საჭირო გახდა მათი დახმარება. ყოველგვარი დაძახების გარეშე ეს ხალხი იცვამს ფორმას, გამოდის იმის მიუხედავად, რომ თავიანთი ოჯახებიც დაზარალებული ჰყავს, და ამას აკეთებს.

დღეს ჩვენ საუკეთესოებს გადავცემთ ჯილდოებს, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი, თუმცა ყველა საუკეთესოა. მათ არ უთხოვიათ, მაგრამ ყველა დანარჩენს გადავცემთ ფულად პრემიას და პრეზიდენტის პირადი მადლობის წერილს.

მე უნდა ვუთხრა ყველა დანარჩენ ადამიანს საქართველოში: აი, ეს ხალხი მისაბაძია არა მხოლოდ თავისი ოჯახებისა და მეზობლებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.

აი, ეს არის სამშობლოს სამსახური, ასეთი ხალხი დააყენებს ფეხზე საქართველოს. ეს არის ჩვენი ქვეყანა და მარტო მთავრობა ვერაფერს გახდება. საჭიროა, ყველამ ერთად შევძლოთ ამ ქვეყნის ფეხზე დაყენება, მისი დაცვა, გალამაზება, გაუმჯობესება და უკეთესი ცხოვრების მოტანა.

შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის უმაღლესი ჯილდოები გადასცა გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს ირაკლი გორგაძეს, ეროვნული გვარდიის მე-12 რეზერვისტთა ბატალიონის შტაბის უფროსს ვლადიმერ სურგულაძეს, ეროვნული გვარდიის მე-12 რეზერვისტთა ბატალიონის მეთაურს ზვიად უნგიაძეს, რეზერვისტთა ბატალიონის კაპრალებს გია მგალობლიშვილს და შოთა სირაძეს, რეზერვისტთა ბატალიონის ასმეთაურის მოადგილეს რობერტ სირაძეს, მე-12 რეზერვისტთა ბატალიონის ზურგის უფროსს გიორგი შილაკაძეს და რეზერვისტთა ბატალიონის ასმეთაურს იოსებ ჩხაიძეს.

დასასრულ საქართველოს პრეზიდენტმა თქვა:

— კიდევ ერთხელ უნდა გითხრათ მადლობა და ვუთხრა ყველას — წყალდიდობით დაზარალებულს, რომ მე ყოველდღე ვაკონტროლებ სიტუაციას. ყველა ადამიანი, ვინც უსახლკაროდ დარჩა, მიიღებს კომპენსაციას. ყველა ადამიანმა უკვე მიიღო დახმარება — საკვები პროდუქტები. ყველა ბავშვი იქნება კომპენსირებული ექსკურსიებითა და სხვა ღონისძიებებით. ჩვენ მათ სათამაშო მოედნებს დავპირდით და ამ დღეებში ვიწყებთ მათს მშენებლობას, გზებს დავპირდით და მუშაობა უკვე დაწყებულია. ყველაფერი, რასაც ხალხს დავპირდით, პირნათლად და ბოლომდე იქნება შესრულებული. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც თავის დაპირებებს ასრულებს.

ჯილდოების გადაცემის ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა რეზერვისტები ტრადიციულ სადილზე მიიწვია.

⊙ აქტუალური თემა

# არჩევანი შენ, არადანი მე

**ლატვიის პრეზიდენტის ქალბატონ ფრაიბერგას ამასწინანდელი ვიზიტი საქართველოში თუნდაც იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მან ერთი საკმაოდ სენსაციური განცხადება გააკეთა კითხვაზე — შეიძლება თუ არა რუსული სამშვიდობო ჯარების ჩანაცვლება ლატვიურითო, ლატვიის პრეზიდენტმა უპასუხა, რატომაც არაო. მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტის ასეთი იმედისმომცემი განცხადების მიუხედავად, ბევრი თვლის, რომ კონფლიქტის ზონებში, აფხაზეთსა და შიდა ქართლში, ლატვიის ძალებით რუსული სამშვიდობო კონტინგენტის ჩანაცვლებას, ჯერჯერობით მხოლოდ სურვილის დონეზე თუ განვიხილავთ.**

ასეა თუ ისე, პარლამენტმა საქართველოდან რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ათი წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღო. რუსეთის პრეზიდენტი ჯერჯერობით დუმს, ლაპარაკობს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. ლავროვის თქმით, „მნიშვნელოვანია მხარეებს შორის ნდობის გაზრდა, რომელიც სამწუხაროდ, დაიკარგა. ჩვენ ამ მხრივ ვითანამშრომლებთ სხვა პარტნიორებთან, რომელთა შორის არიან გაერო და ეუთო, რათა შეიქმნას ბაზისი კონფლიქტების საბოლოო მოგვარებისათვის“.

ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ლავროვის ეს განცხადება კრემლის პოზიციად იმიტომ ვერ ჩაითვლება, რომ მეტად მსუბუქია. მათი აზრით, კრემლის დუმილი კარგს არაფერს მოასწავებს, რადგან მას ჯერ ფიქრის, შემდეგ კი მოქმედების ტაქტიკა აქვს შემუშავებული. საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, აშშ-ს კონგრესი მხარს უჭერს. ნინო ბურჯანაძე ამ დღეებში დელეგაციას შეხვდა, რომლის შემადგენლობაშიც კალიფორნიის შტატიდან კონგრესმენები იყვნენ. ამერიკელთა განცხადებით, მას შემდეგ რაც კონგრესი პარლამენტის დადგენილების ტექსტს მიიღებს, ისინი თავიანთ მხარდაჭერას ოფიციალურად გამოხატავენ და იმსჯელებენ, რა კუთხით შეუძლია აშშ-ს საქართველოს დახმარება გაუწიოს.

მართლაც, საკითხავია, ამერიკის შეერთებული შტატები დახმარებას რა კუთხით გაგვიწევს. მას ხომ ამ შემთხვევაში რუსეთის განაწყენება მოუწევს. რუსეთს კი დაუშვებლად მიაჩნია, საქართველო-ოსეთის, ან საქართველო-აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის საჯარისო ნაწილები იმყოფებოდნენ, გარდა რუსეთისა, იმ მოტივით, რომ კონფლიქტის ზონები უშუალოდ რუსეთის ფედერაციას ესაზღვრება. სამშვიდობოების გაყვანის შემთხვევაში გაჩაღებული პარტიზანული ომები საფრთხეს პირველ რიგში რუსეთის ნაცონალურ ინტერესებს უქმნისო, — აცხადებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთს ხელთ აქვს მრავალი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ბერკეტი, ძნელი დასაჯერებელია ჩვენს გამო დიდმა ქვეყნებმა მისი განაწყენება მოინდომონ.

ექსპერტთა ერთი ნაწილის ვარაუდით, შემთხვევითი არ არის, რომ ევროკავშირმა საქართველოში ყველა პროგრამა გაყინა. კარგა ხანია დსთ-ს არც ერთ ქვეყანაში ევროკავშირის წარმომადგენლები არ გამოჩენილან. კულუარებში აღნიშნავენ, რომ შესაძლოა შეთანხმება ასეთიც იყოს: დსთ-ს ზონა რუსეთს, სამაგიეროდ რუსეთიდან ელექტრომატარებლების შეუფერხებელი მიწოდება — ევროპას.

მართალია, „დუმაში“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებასთან დაკავშირებით, რადიკალური შეფასებები გაისმა, მაგრამ ქართველი დეპუტატები თვლიან, რომ „დუმის“ პოზიცია რუსულ პოლიტიკური ისტებლიშმენტის პოზას ხშირად არ ემთხვევა.

**ბესო ჯუღელი, ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე:** „...არც რუსული ინტელიგენცია და არც რუსული ისტებლიშმენტი საქართველოს მიმართ უარყოფითად განწყობილი არ არის, მაგრამ რუსი დეპუტატები სხვაა, ისინი ყველაფერზე არიან წამსვლელები. ჩვენ მათ პროვოკაციას არ უნდა ავყვეთ. დრო უნდა გავიყვანოთ და მოვიცადოთ, სანამ „დუმის“ ეს შემადგენლობა არ წავა. მართალია, სიტუაცია მარტივი არ არის, მაგრამ ჩვენი პოზიცია ურყევი უნდა იყოს და დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაბრაზდნენ და შეშინდნენ სეპარატისტები. თვითგამოცხადებული ცხინვალისა და აფხაზეთის ხელისუფალნი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას უარყოფითად აფასებენ. აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის განცხადებით, არსებული მანდატის შეცვლას და სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციას აფხაზეთი არ დაეთანხმება.

„საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, მოახდინოს სამშვიდობო ძალების გასვლა, უარყოფით შედეგს თავად საქართველოსთვის გამოიღებს“, — აცხადებს ბაღაფში. უფრო მეტიც, სოხუმის ხელისუფლება სამშვიდობოების გაყვანის შემთხვევაში იმედს რუსეთის მხარდაჭერაზე ამყარებს და საქართველოსთან საომარი მოქმედებების განახლებას არ გამორიცხავს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით საგულისხმო ვერსიაა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთი რომ დღეს ისეთი უსუსური არ არის, როგორც ათი წლის წინ იყო, ცხადია. ნუ გაგვიკვირდება, თუ მას ანგარიშს გაუწევენ. ამ ყველაფერის ფონზე, რეალობა ასეთია: სამშვიდობოები უნდა გავიდნენ, მაგრამ ამისთვის დროის მცირე მონაკვეთი საკმარისი არ იქნება.

**მზია გელენავა**

⊙ კანონმდებლები

## რწმუნებათა სიგელების გადაცემა



**სამხრეთ** აფრიკის, შვედეთის, მალაიზიის, ავსტრალიის, კვიპროსის, კანადის, ტაილანდის, ხორვატიის, სერბეთის, ზამბიის, ნიგერიის, ესპანეთის და ლატვიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა დღეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს რწმუნებათა სიგელები გადასცეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დღეს სახლმწიფო კანცელარიაში საზეიმო მიღება გაიმართა.

## ბოდორნის აუზი მწყობრში ჩადგება

**თბილისის** წყალმომარაგება ბოდორნის ბუფერული აუზის გაწმენდის შემდეგ ორ დღეში მწყობრში ჩადგება. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ „თბილწყალკანალის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ქელბაქიანმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

ქელბაქიანის განცხადებით, წელს გაზაფხულზე არაგვის ხეობაში მოსული ძლიერი წყალდიდობის შედეგად სერიოზულად დაზიანდა ბოდორნის ბუფერული აუზი, იქ დიდი რაოდენობით ტალახი შევიდა, რის გამოც საჭირო გახდა აუზის დროებით დახურვა და გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

“თბილწყალკანალმა“ დახმარებისთვის მიმართა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს და მოლაპარაკების საფუძველზე მსოფლიო ბანკმა გამოყო მილიონნახევარი ლარი, რათა ბოდორნის ბუფერული აუზი გაწმენდილიყო. თვენახევრის განმავლობაში ბუფერული აუზის გაწმენდა მოხდა.

## ყაზბეგის გამგებელი უარყოფს

**ყაზბეგის** რაიონის გამგებელი გოგი ქირიკაშვილი არ ადასტურებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ რუსეთი ყაზბეგის მოსახლეობას რუსეთის პასპორტებს ურიგებს.

როგორც გამგებელმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ეს ინფორმაცია მცდარია.

„გაბაშვილი ყაზბეგში ორი დღის წინათ იმყოფებოდა, თუმცა რა იყო მისი ვიზიტის მიზეზი, არ ვიცი. რაც შეეხება ყაზბეგის მოსახლეობას, მათ ქართული პასპორტები და პირადობის მოწმობები აქვთ. ამ დოკუმენტაციის მიღება ყაზბეგში საქართველოს მოქალაქეებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს“, — განაცხადა ქირიკაშვილმა.

„მედიანიუსისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ყაზბეგის მოსახლეობას ადგილზე ეძლევა სპეციალური საბუთი, რომლის მეშვეობითაც, მათ ვლადიკავკაზის (ჩრ. ოსეთისძ ტერიტორიაზე გადაადგილება 10 დღის ვადაში დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ. ამიტომ როგორც მოსახლეობა განმარტავს, მათ რუსეთის პასპორტის აღება არ სჭირდებათ.

## აბა, ახლა გვნახეთ, ვინ ვართ!..



**რესპუბლიკელი** დეპუტატის ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, ფაქტობრივად უკვე მიღწეულია შეთანხმება რესპუბლიკელებს, კონსერვატორებს და რამდენიმე დამოუკიდებელ დეპუტატს შორის ახალი ფრაქციის შექმნის თაობაზე.

ახალი ფრაქციის წევრები იქნებიან: დავით და ლევან ბერძენიშვილები, თემურ ნერგაძე, ივლიანე ხაინდრავა, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, კახა კუკავა, ბიძინა გუჯებიძე, დავით ზურაბიშვილი და ლევან გაჩეჩილაძე.

## უმრავლესობას არაფერი აშინებს...

**საპარლამენტო** უმრავლესობის წევრი გიგი წერეთელი აცხადებს, რომ მმართველი ფრაქციისთვის რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების მიერ ახალი ოპოზიციური ფრაქციის შექმნა სულაც არ არის შემაშფოთებელი.

როგორც გიგი წერეთელმა „მედიანიუსს“ განუცხადა, პარლამენტში ახალი ფრაქციების გაჩენა ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია და არაფერი ამაში საკვირველი არ არის.

„როგორც ვიცი, რესპუბლიკელებსა და კონსერვატორებს კარგა ხნის წინათ უნდოდათ ფრაქციის ჩამოყალიბება, ამიტომაც ჩემთვის ეს ამბავი ახალი ნამდვილად არ არის“, — აღნიშნა წერეთელმა.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ პრესკონფერენცია

# სეირნობა საოპერო თეატრის შენობის შებილწვის ხარჯზე?!

**თბილისის ხელისუფლების ახალმა ინიციატივამ — რუსთაველის გამზირის საკვირაო გადაკეტვამ — საზოგადოებაში რეაქცია გამოიწვია: ახალგაზრდობას უქმე დღის საყვარელ პროსპექტზე გატარება, ათასგვარი სანახაობა და სრული თავისუფლება ხიბლავდა, მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრები მოსახლეობა კი დასვენების დღის ხმაურით ჩამწარებასა და ხმამაღალ მუსიკას უჩიოდა.**

ობა. გარდა ამისა, ეს ადგილი ნარკოტიკების „ბუდეც“ გახდა. ყოველ ორშაბათს დილით აქ შპრიცებსა და არყის ბოთლებს ვპოულობთ. თუ სახელმწიფო ნარკოტიკებს ებრძვის, ეს უმსგავსობაც უნდა აღკვეთოს. ხშირად ხდება კრიმინალური ფაქტებიც... კვირაობით ოპერაში სხვადასხვა წარმოდგენა იმართება, მოდიან უცხოელი სტუმრებიც. სამარცხვინოა, რომ ასეთ მდგომარეობაში იყოს კულტურის ძეგლი თუ ერთი ქუჩა იკეტება, ალტერნატიული ქუჩა მაინც უნდა იყოს ღია, არადა, ისიც ჩახერგილია. თუ არაფერი გვეშველა, ორკესტრს ჩვენც ქუჩაში გამოვიყვანთ და გარეთ გავმართავთ კონცერტებს“, — განაცხადა გამართულ პრესკონფერენციაზე ზურაბ იოკაშვილმა.




თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ამჯერად მოწინააღმდეგეთა არგუმენტები უფრო თვალნათელი და შემაშფოთებელია. ჟურნალისტებს საკუთარი აღშფოთება გამართულ პრესკონფერენციაზე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, მუსიკათმცოდნე ზურაბ იოკაშვილმა გაუზიარა.

საკვირაო მხიარულების შემდეგ შეზარხოშებული ახალგაზრდები არც ოპერის თეატრის „შეურაცხყოფისგან“ იკავებენ თავს. რის შედეგადაც თეატრის მესვეურთ დილას ჩამტვრეული მინები, ჩამოხეული აფიშები, კედლებზე გაკეთებული წარწერები და უსუფთაობა ხვდებათ. საკმაოდ ძვირადღირებული მინების გამოცვლა და კედლების ღებვა ოპერის ხელმძღვანელთათვის უკვე ჩვეულ საქმიანობად იქცა. შავი საღებავისაგან მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად ისინი სპეციალისტების მიწვევასა და განსაკუთრებული საღებავის შეძენასაც კი აპირებენ.

„მთელი დასის, გუნდის, ორკესტრისა და თანამშრომელთა სახელით ვთხოვთ მთავრობას აკრძალოს გამზირის გადაკეტვა ან გამოყოს დაცვა ოპერის მიმდებარე ტერიტორიის ამგვარი „შემოტევისაგან“ დაცვის მიზნით. ჩვენს წინ ლუდის გამყიდველთა ჯიხურია, იკრიბებიან მთვრალები, არის უსუფთაობა.

მართლაც, პროსპექტზე გამართული როკ-კონცერტების მერე ალტკინებული ფფანების მიერ „შეურაცხყოფილ“ კულტურის ძეგლზე დატოვებული წარწერებისა და „ხელმოწერების“ ნახვა შეუიარაღებელი თვალისთვისაც კი აშკარაა: „Snoop Doggy Dog“, „Doors“, „Pink Floyd“, „Nirvana“ და მეტად უხამსი გამონათქვამები მათ მისამართით, ვინც განსაკუთრებული სიმპათიის არ არის განმსჭვალული პანკების მიმართ. სრული სატირული სურათს კი ჩამსხვრეული მინები და ჩამოხეული აფიშები ასრულებენ...

ეს შემაძრწუნებელი ფაქტი არა მხოლოდ ოპერის ხელმძღვანელთა გულისტკივილი, არამედ სრულიად საზოგადოების პრობლემაც უნდა გახდეს. ყოველი ოჯახისა და მშობლისა, რომელიც თავის შვილს კვირას რუსთაველზე სასეირნეოდ უშვებს. საით მივდივართ და რა მოგველის ხვალ. თუ მომავალ თაობას საკუთარი ღირსშესანიშნაობების დაფასებასა და პატივისცემას არ ჩავუნერგავთ?!.

**ნინო ბერძნიშვილი**

⊙ ვეტერანთა ბედი საქართველოში

# როდის მოეღება ბოლო ამ განუკითხაობას?

**ამ დღეებში რედაქციამ მიიღო საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის წერილი-მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილისადმი, რომელსაც პრობლემის აქტუალურობის გამო, უცვლელად გთავაზობთ.**

ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები ქვეყნისთვის და ომის ვეტერანებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ბატონო პრეზიდენტო, — უფლება არა გვაქვს კიდევ ერთხელ გავიმეოროთ შეცდომა. თითქოს „საქმეს დასჭირდა და ვეტერანების ხარჯზე“ საჩქაროდ, მოსალოდნელი სავალალო შედეგების გაუთვალისწინებლად, მთავრობის დავალებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოამზადა „სახელმწიფო პენსიებისა“ და „სახელმწიფო კომპენსაციის“ კანონპროექტები, აგრეთვე „ომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ კანონში შეიტანა ცვლილებები, რაც ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანებისთვის მიუღებელია. **იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოს მოქმედ სხვა კანონებს, რომლებთანაც შეუსაბამობაში მოდის. იგი არ ემსახურება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებებს, პრინციპებსა და ნორმებს.** გათვალისწინებული არ არის „საერთაშორისო პაქტი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომელსაც საქართველოც შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით და რატიფიცირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2002 წლის რეზოლუციით. ამდენად, ხსენებული კანონპროექტების მიღება საერთაშორისო ფონზე უფრო მეტ ნეგატიურ შედეგებს გამოიღებს, ვიდრე დადებითს.

ყოველივე ამან აიძულა ღვაწლმოსილი ვეტერანები, სახელმწიფოსთვის და თვით ვეტერანებისთვისაც სამარცხვინო გამაფრთხილებელი აქციები მოეწყოთ ჯერ კანცელარიასთან, შემდეგ კი პარლამენტის შენობასთან, მაგრამ, როგორც ანალიზი ცხადყოფს, არც ამ ღონისძიებებს, არც პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ საპროტესტო წერილებს, შენიშვნებსა და წინადადებებს ფაქტიურად შედეგი არ გამოუღია სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო დაბეჯითებით ცდილობს ვეტერანების საწინააღმდეგოდ და მათთან დიალოგის გაუთვალისწინებლად გაიტანოს აღნიშნული კანონპროექტი მთავრობის სხდომაზე.

ბატონო პრეზიდენტო, პირველ რიგში საჭიროა სასწრაფოდ გაუქმდეს ის ბრძანება, რომლითაც მინისტრებს თავის უწყებაში ხელფასის განკარგვა განუსაზღვრელი უფლებებით მიენიჭათ, რამაც გაუგებრობა გამოიწვია უზომოდ გაზრდილი პენსიების დანიშვნის გამო. ამასთან, შესასწავლია, რატომ ეზრდებათ განუსაზღვრელად ხელფასები ჩინოვნიკებს ასტრონომიულ დონემდე — 15.000 ლარამდე, ხოლო პენსიები 28 ლარით განისაზღვრება მაშინ, როდესაც ყოველთვიურად მარტო საკვებად 155 ლარია საჭირო, რომ აღარაფერი ვთქვათ კომუნალურ გადასახადებსა და ჩაცმა-დახურვაზე. სწორედ ამაზეა ნათქვამი — „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“!..

**ისე გამოდის, რომ აღნიშნული კატეგორიის გადარჩენილი ომის ვეტერანები საშიმშილოდ არიან განწირულნი.**

ამდენად, ომის ვეტერანები მოგმართავენ კითხვათ, **ამ განუკითხაობას როდის მოეღება ბოლო?**

ძვირფასო „ვარდების ხელისუფლებავ“, დროა ამჟამად გაორმაგებული ბიუჯეტის ფონზე პრეზიდენტმა პასუხი გასცეს ამ კითხვას.

სტატისტიკის მიხედვით, 2004 წლის იანვრისთვის საქართველოში 21 ათასამდე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ირიცხებოდა, 2005 წლის იანვრისთვის კი — 16.000 ათასამდე. გამოდის, რომ ხუთი ათასი ხანდაზმული, სახელმწიფოს წინაშე ნაამაგარი ვეტერანი, ერთი წლის განმავლობაში გულდაწყვეტილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ამ სტატისტიკის მიხედვით, ბატონო პრეზიდენტო, სამ წელიწადში, ანუ თქვენს საარჩევნო ვადაში ისინი აღარ იქნებიან. ამიტომ გვაცალეთ დარჩენილი ცხოვრების პერიოდი მშვიდად გავატაროთ, ჩვენ ხომ ქვეყნისა და ქართველი ხალხის წინაშე მოქალაქეობრივი, პატრიოტული და მხედრული მოვალეობა კეთილსინდისიერად შევასრულეთ, დიდი წვლილი შევიტანეთ ფაშიზმის წინააღმდეგ 1941-45 წლების ომში მოპოვებულ გამარჯვებაში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში, ხოლო არჩევნებში ერთსულოვნად გამოვხატეთ თქვენი მხარდაჭერა, ჩვენს ოჯახებთან და ახლობლებთან ერთად. ამასთან, ისიც აუცილებელია ითქვას, რომ **უსამართლოდ ვიჩაგრებით და თქვენი პირადი მხარდაჭერა გვჭირდება. მოუთმენლად ველით ვეტერანების 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის თქვენს მიერ მიღებას.**

ვფიქრობთ, რომ ამისთვის გამონახავთ დროს, სადაც დაწვრილებით მოგახსენებათ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებზე.

იმედს ვიტოვებთ, რომ უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენს ამ მოკრძალებულ თხოვნას და მივიღებთ შესაბამის პასუხს.

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის სახელით:**

**ბორის ყურაშვილი, მოსე მდინარაძე, ელვერ კუპატაძე, ვახტანგ ლალიაშვილი, რევაზ ასათიანი, რევაზ ნაცარიშვილი, ევგენი მეტრეველი.**

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## სტანისლავ ლაკობა:

# „საქართველო ვერ შედგა, როგორც სახელმწიფო“

**აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ მოსკოვში, „აღმოსავლეთი ევროპის დემოკრატიისა და მულტიკულტურალიზმის“ მეორე ევროპულ ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა, რომ რუსეთი ძლიერი უნდა იყოს პოსტსაბჭოურ სივრცეში. ლაკობას აზრით, საქართველო ვერ შედგა, როგორც სახელმწიფო — მთელი მისი პოსტსაბჭოური ისტორიის მანძილზე იქ ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებების შედეგად — შევარდნაძემ დაამხო გამსახურდია, სააკაშვილმა კი — შევარდნაძე. რაც შეეხება აფხაზეთს, ხელისუფლების გადაცემა იქ მოხდა დემოკრატიული არჩევნების გზით.** დაუბრუნდა რა „ძლიერი რუსეთის“ თემას, ლაკობამ აღნიშნა: აფხაზეთს „მობეზრდა“, როცა რუსეთის პოლიტიკური წრეები და ამ ქვეყნის ჟურნალისტები გამუდმებით სვამენ კითხვას, სურს თუ არა აფხაზეთს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა. „აფხაზები მზად არიან“, — დაასკვნა ლაკობამ.

რეგნუმ საინფორმაციო სააგენტო.

REGNUM

პროტესტი

# თბილისის გულში დავითის ძეგლი შემთხვევით არ დადგმულა!

**„ჭაბუკო! რადგან ამოხველ დიდგორს, ყური მიუგდე ამ არემარეს; აქ წუთიერად შენი წინაპრის გვერდში აღმოჩნდები, ხმლის ვადაზე ხელჩაბღუჯული. შემოგესმება ჟღარუნი თორის, ცხენთა ჭიხვინი, მხედართა ყიჟინა, ბუკის ხმა გამარჯვებულთა. სიამაყით აგიძგერდება გული და მიხვდები, რომ იმ ღირსეულ წინაპართა შვილი ხარ, რომლებმაც ურიცხვი დამპყრობლის დამარცხება შესძლეს. მიხვდები იმასაც, რომ დღეს შენი საფიქრალია, როგორ განამტკიცო და აღაშენო ქვეყანა, საქართველო, რომლის გადასარჩენად თავს არ ზოგავდა შენი წინაპარი“.**

დიდგორის ძეგლის გახსნის დღე — 12 აგვისტო, 1990 წელი;
**მერაბ ბერძენიშვილი.**



ამ განწყობით გაკეთდა დიდგორის მემორიალი, თუმცა: დიდგორის გმირთა მემორიალი ავაზაკებმა გაძარცვეს (ეს ცნობილია). ყოფილმა მთავრობამ საზოგადოებას ამცნო, რომ, თითქოს, დიდგორის კომპლექსში ყველაფერი აღდგენილია, რაც, სამწუხაროდ, სინამდვილეს არ შეეფარდება. **დღევანდელმა მთავრობამ აღდგენაზე უარი განაცხადა სახსრების უქონლობის გამო. გაძარცული მემორიალი უკვე წლების მანძილზე ელის შველას, მაგრამ — ამაოდ.**

**მე კი მეგონა, ისტორიულ მემორიალს, სადაც მოხდა „ძლევაი საკვირველი“, დღევანდელი ახალგაზრდული ენერგიით სავსე მთავრობა არათუ აღადგენდა, არამედ 12 აგვისტოს — ამ დიდ დღეს ყოველწლიურად იზეიმებდა ქართველთა ერთიანობის და ერის სულიერების განსამტკიცებლად.**

**ვაგლახ, რომ ეს ასე არაა. ყოველ წელს, 12 აგვისტოს, მხოლოდ ხალხი იკრიბება საქართველოს ყველა კუთხიდან და დიდგორობას ზეიმობს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების გარეშე. ყოველივე ეს ჩემი, თქვენი და ერის ტკივილია!**

**ახლა გაუგონარ უმეცრებასა და საკვირველებაზეც უნდა გითხრათ:**

ამ ცოტა ხნის წინათ, საღამო ჟამს, ტელეფონით დამიკავშირდა ტელეჟურნალისტი და მთხოვა ინტერვიუ, თუ რა აზრისა ვარ დავით აღმაშენებლის ძეგლის დილომში გადატანის თაობაზე. ბუნებრივია, ინტერვიუს ვერ მივცემდი, რადგან ამის შესახებ მისგან შევიტყვე და აქამდე სხვა არაფერი მსმენოდა, ამ დროს კი თურმე ძეგლის პიედესტალიც უკვე გაკეთებულია! იმ საღამოს ტელეფონის ზარი არ შეწყვეტილა, სხვადასხვა ტელეარხიდან რეკავდნენ. რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირ პასუხს იღებდა: „მე ამის შესახებ არაფერი ვიცი, ამიტომ ვერაფერს გეტყვით“. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ თავად არ მოვისმინე ტელევიზიით ბატონ გიგი უგულავას აზრი ძეგლის გადატანის თაობაზე.

მოგეხსენებათ, იტალიის დედაქალაქის — რომის ყოველი კუთხე ისტორიული მნიშვნელობისაა და ქალაქის მერია სპეციალისტთა გარეშე ერთი ადგილიდან მეორეზე უბრალო ქვის ნატეხსაც ვერ გადაიტანს. როცა პეტრეს ტაძრის მთავარი შესასვლელის კარი მოქანდაკე მანცუს მიერ შექმნილი რელიეფებით შემოსილი კარით შეცვალეს, **წლობით ირჩეოდა ეს საქმე და განხილვაში რომის პაპიც მონაწილეობდა. ბოლოს საკითხი რეფერენდუმმა გადაწყვიტა.** ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი ხდება ამქვეყნად, ისტორიულ კარებსაც ცვლიან, ძეგლებიც გადააქვთ (სხვათა შორის, სახლებიც), მაგრამ მათი გადატანა ხდება მკაცრი კანონით, სპეციალისტებისა და საზოგადოების აზრის თანხმობის შემდეგ.

**დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა, როგორც ჩანს, ზოგიერთებს საკუთარ სახლში რემონტის შემდეგ კარადის ერთი კუთხიდან მეორეში გადატანა ჰგონიათ.** ძეგლის გადაადგილება იოლი საქმე არ გახლავთ. მას აუცილებლად მისივე შესატყვისი ადგილი უნდა მოეძებნოს, სხვა შემთხვევაში ძეგლის გადაგდება გამოგვივა და არა — გადაადგილება.

ამიტომ სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, მანამდე ავტორთან საუბარი იყო საჭირო, ამას ელემენტარული აუცილებლობა მოითხოვდა. რა თქმა უნდა, ეს არ გაკეთდა და როცა ძეგლის გადატანის ამბავი გახმაურდა, მხოლოდ შემდეგ იფიქრეს და შეეცადნენ ავტორის აზრის გაგებას. **რადგან მე ძეგლის ავტორი ვარ (რომელსაც საავტორო უფლება აქვს), სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ადგილი, რომელიც შერჩეულია ძეგლის გადასატანად, ცუდია, სრულიად შეუფერებელია და, გარდა ამისა, კონტრაჟურში ძეგლის დაყენებაც უცოდინრობის და თავხედობის ნიმუშია (ანონიმ არქიტექტორს ეს უნდა სცოდნოდა!).**

მერედა ვინ ბრძანა, რომ ძეგლი ასეთ სიმაღლეზე აზიდონ, მე ასე არა მაქვს ნაფიქრი, არც კვარცხლბეკის ფორმაა ჩემეული; **და საერთოდ, რა უზნეობასთან გვაქვს საქმე! ვინმემ იფიქრა ამაზე? როცა ძეგლი იდგმება, მოქანდაკე არქიტექტორთან ერთად შეისწავლის გარემოს, წლის მანძილზე აკვირდება მზეს, განათების ორიენტაციას. იცის, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე რომელი ნაკვთი როგორ ჩანს. არც ადგილს ირჩევენ შემთხვევით. ამაზე ანონიმ არქიტექტორს უნდა ეფიქრა, რათა არ წარმოეჩინა თავისი გაუნათლებლობა და უზნეობა.** ამავე დროს, მერიის მესვეურნიც არ უნდა ჩაეყენებინა უხერხულ სიტუაციაში არც მას და არც იმ ხელმოცარულ ხელოვან მრჩევლებს, რომლებსაც, სულხან-საბას სიტყვით რომ ვთქვათ, „მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“ სჩვევიათ.

**მათ უნდა სცოდნოდათ, რომ გარდა ავტორისა, ამ ძეგლის უკან მთელი ერი დგას! და საერთოდ, მეფეს, რომელსაც ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი შეარქვა, რომელიც ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, და რომელმაც დედაქალაქი — თბილისი გაათავისუფლა დამპყრობლისგან, ასე არ ეპყრობიან; არც დედაქალაქს ჰკადრებენ, გასასვლელ-შემოსასვლელში დაუყენონ ცხენის ფიგურა უკანალით, ხოლო მეფე დავითი მცხეთიდან მომავალ მოქეიფეთა შესახვედრად იდგეს** (მოგეხსენებათ, მთელ სიგრძეზე რესტორნებია ჩამწკრივებული).



თბილისის გულში დავითის ძეგლი შემთხვევით არ დადგმულა. მისი ზეაწეული მარჯვენის მნიშვნელობა, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი დარჩათ იმათ, ვისაც ძეგლის გადატანა ჩაუფიქრებიათ. ქართველი ხალხისთვის კი ის ძალზე მნიშვნელოვანია და ბევრს ნიშნავს, — ეს ის ხელია, რომლსაც ხმალი ეპყრა მტრებისგან საქართველოს დასაცავად; ეს ის ხელია, „გალობანი სინანულისანი“ რომ დაწერა, ეს ის ხელია, რომელიც მიგვანიშნებს ღვთის ძალას, „რომლის წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი“. **ამან მაინც რატომ არ დაგიბადათ აზრი, სურვილი იმისა, რომ გეკითხათ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისათვის — ილია მეორისათვის, რა აზრისაა ეკლესია ამ საქმის თაობაზე?**

გულის სიღრმეში ყველამ კარგად იცის, რომ დიდი შეცდომაა, „დავით აღმაშენებელი“ ანაცვალო ჯერ კიდევ გაუგებარ ნაგებობებს, რომელთა შესახებ ბოლომდე არც თვითონ ქალაქის მესვეურებს აქვთ შექმნილი წარმოდგენა, თუ რა იქნება და რას მივიღებთ. **გულის სიღრმეში ხომ ყველას რცხვენია, რომ ყაზახეთის პრეზიდენტს, ბატონ ნურსულთან ნაზარბაევს ემაყება, იქ რომ აგებს დიდ შენობას, სადაც მეფე დავითის ძეგლია აღმართული, ქართველებს კი ძეგლი ამ ადგილიდან გადააქვთ. გულის სიღრმეში ხომ ყველამ ვიცით, რომ დავით სასუნცს ჩვენი მეზობელი ქვეყანა ასეთ რაიმეს არასოდეს ჰკადრებს.**

**ბატონმა უგულავამ უნდა იცოდეს, რომ მან მარტო მე კი არ მომაყენა შეურაცხყოფა, როცა საჭიროდ არ ჩათვალა, ეკითხა აზრი ავტორისთვის** (სხვათა შორის, წიხლი არ მწყენია), **არამედ მან მთელ ერს მიაყენა შეურაცხყოფა, როცა არაფერი ჰკითხა თბილისის მოქალაქეებს, იმ ქართველ ჭაბუკებს, რომლებსაც საქართველოსთვის გული უძგერთ.**

**P. S. მინდა იცოდეთ, რომ ამ ძეგლის აღება ურთულესი რამ გახლავთ, რადგენ იგი იმ წესით არაა დადგმული, როგორც, ჩვეულებრივ, ძეგლები იდგმება ხოლმე, — როცა ძეგლს ანკერებზე ჭანჭიკებით ამაგრებენ და გადატანის შემთხვევაში მხოლოდ ჭანჭიკის მოხსნა იკმარებს. აქ ძეგლის შიდა ნაწილი შველერებისაგან ქმნის მთლიან კარკასს, რომელიც ცხენის პლინტუსთანაა დაკავშირებული და ოთხივე ფეხში გაყრილი შველერები პლინტუსთან ერთად ჩაბეტონებულია კვარცხლბეკში. ვინაიდან სპეციალური ხვრელებიდან ხდებოდა ბეტონის ჩასხმა, პლინტი და ცხენის ფეხები სავსეა ბეტონის მასით. ის, ვინც გთავაზობთ ძეგლის გადატანას, მან ან ეს არ იცის, ან არ იცის ის, თუ ბეტონის მტვრევისას რა ელის ძეგლს, რადგან ბრინჯაო მსხვრევადია. რამდენადაც ძეგლის დამდგმელ ოსტატებს სწამდათ, რომ ისინი ამ ძეგლს საშვილიშვილოდ დგამდნენ, ამიტომ ისურვეს ამგვარი ხერხის გამოყენება. ყოველივე ამას თავადაც დაადასტურებენ თბილისის ქანდაკების კომბინატის ოსტატები.**

**ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!**

**მერაბ ბერძენიშვილი**

SIC!

# შემაძრწუნებელი ფაქტი ქუთაისში

**ქუთაისში ბავშვის შიდსის ვირუსით დაინფიცირების ფაქტმა საზოგადოება შეძრა. ეს ამბავი მას შემდეგ გაცხადდა, რაც 5 წლის ბიჭი მშობელმა საავადმყოფოში მიიყვანა. ბავშვს ინფექციური დაავადება აღმოაჩნდა. ექიმებმა მისი იმუნური სისტემა გამოიკვლიეს და იგი შიდსის ვირუსით დაინფიცირებული აღმოჩნდა. გამოიკვლიეს ბავშვის მშობლებიც, მაგრამ ისინი ჯანმრთელები არიან. მათი თქმით, ბიჭი ძალიან სუსტი დაბადებულა და ახლშობილისთვის სათანადო ანალიზის გაკეთების შემდგომ ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოში შესაბამისი რეზუსის ჯგუფის პლაზმა გადაუსხამთ. მაშინ უკეთ გამხდარა, მაგრამ შემდგომში თურმე ხშირად ავადმყოფობდა.**

**ამ ფაქტთან დაკავშირებით შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშროლები ერთ კვირას იმყოფებოდნენ ქუთაისში, რომ ადგილზე შეესწავლით საქმის ვითარება. ექიმი-ვირუსოლოგის მაია ცინცაძის თქმით, გაირკვა დონორის ვინაობა, იგი 32 წლის მამაკაცია და ამჟამად ოჯახით მოსკოვში ჯერ დაუდგენელ მისამართზე ცხოვრობს. იგი 1999-2001 წლებში აბარებდა სისხლს ქუთაისის სისხლის ბანკში, მაგრამ 2001 წლის ბოლოს მისთვის დონორობაზე უარი უთქვამთ C ჰეპატიტით ავადობის გამო. ცნობილი გახდა რეციპიენტების ვინაობაც, ასეთი სულ 10 ადამიანი აღმოჩნდა. მათგან ოთხი ტრავმული შოკით გარდაიცვალა, დანარჩენი 6 ადამიანის, სავარაუდოდ, დაინფიცირებულთა სისხლის პლაზმები შემდგომი საფუძვლიანი გამოკვლევისთვის თბილისში ჩამოიტანეს. ცენტრის ორ ლაბორატორიაში მაღალტექნოლოგიურ დონეზე მიმდინარეობდა კვლევა. შაბათს, 15 ოქტომბერს უნდა ყოფილიყო საბოლოო პასუხი, რომელსაც ლამის მთელი საქართველო ელოდა. სამწუხაროდ, 5 ადამიანს — 5-9-11 წლის ბავშვებს და 36 და 44 წლის ქალბატონებს შიდსის ვირუსით დაინფიცირება დაუდასტურდათ. ეს საშინელი განაჩენივით გაისმა (საბედნიეროდ, ერთს შიდსის ინფექცია არ აღმოაჩნდა, როგორც ჩანს, დონორი მაშინ ჯერ დაავადებული არ იყო, როცა მისი სისხლი ამ უკანასკნელს გადაუსხეს).**

ამ საგანგაშო მოვლენის გამო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **ვლადიმერ ჭიპაშვილმა** საგანგებო ბრიფინგი გამართა. მინისტრის თქმით, ამ 5 ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

— სისხლით შიდსის ინფექციის გავრცელებისაგან არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული. მათ შორის განვითარებული ქვეყნები. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ყოველწლიურად ათეულობით რეციპიენტია ინფიცირდება შიდსის ვირუსით. ჩვენ მზად ვართ და არ არის გამორიცხული, რომ ჩვენთვის მეტად მძიმე ნაბიჯი გადავდგათ. მაგრამ რადგანაც ეს არის ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი, ამიტომ საჭირო თანხებს და ჩვენს შესაძლებლობებს უწინარესად ამ მიმართულებით წარვმართავთ. ეს გახლავთ ახალი მეთოდოლოგიების, სუპერთანამედროვე, მეტად ძვირადღირებული მეთოდოლოგიების დანერგვა დონორების გამოკვლევის პროცესში, — განაცხადა ვლადიმერ ჭიპაშვილმა.

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, უახლოეს დღეებში ჩატარდება ამ 5 ადამიანის საერთო სრულყოფილი გამოკვლევა ლაბორატორიული ტესტებით. ამის შემდეგ გაირკვევა, თუ რა სახის მკურნალობა დასჭირდებათ ინფიცირებულებს. მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთი მათგანისთვის რაიმე სპეციფიური მკურნალობა არც იყოს საჭირო.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა, რომლის შედეგებიც ორ კვირაში გაცხადდება. ქუთაისის სისხლის ბანკის ხელმძღვანელი, სავარაუდოდ, თანამდებობას დატოვებს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მოკვლევას აწარმოებს ქუთაისის პროკურატურა. დადგინდება დონორის სისხლის აღებისას მისი შიდსის ვირუსით დაინფიცირების „ფანჯარა პერიოდს“ დაემთხვა (როდესაც დაინფიცირებიდან 3-6 თვის განმავლობაში ჩვეულებრივი სადიაგნოსტიკო რეაქტივებით ვირუსის გამოვლენა ვერ ხერხდება), თუ ქუთაისის სისხლის ბანკის პერსონალის უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის, ან ტესტსისტემების გაუმართაობის გამო დაინფიცირდნენ ადამიანები.

**ბელა დურგლიშვილი**

ინფორმაცია

## ელენე თევდორაძე აღშფოთებულია

**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აღშფოთებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების გამო.**

„ბოლოს და ბოლოს ყველას თავში აუვარდა. ნებისმიერ დეპუტატს განცხადების გაკეთების უფლებამოსილება კონსტიტუციით აქვს მინიჭებული და საკუთარ განცხადებაზე პასუხსაც არ აგებს“, — აღნიშნა ელენე თევდორაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.



მისი განცხადებით, თუ სალომე ზურაბიშვილი ვერ შეეჩვია ამ ფაქტს ეს სხვისი პრობლემა არ არის. „მე მოვუწოდებ მას, კიდევ ერთხელ ჩაიხედოს საქართველოს კონსტიტუციაში“, - აცხადებს თევდორაძე.

მისი თქმით, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ გამოთქმული უკმაყოფილო განცხადებები საერთაშორისო სარატიფიკაციო დოკუმენტს - ეროვნული უმცირესობების ჩარჩო-კონვენციას შეეხებოდა.

ინტერპრესნიუსი

## ქართველი ექსპერტები აფხაზეთში გაემგზავრნენ

**რუსი და აფხაზი ექსპერტების შემდეგ, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთს ქართველი ექსპერტები შეისწავლიან.**

აფხაზური მხარის ოფიციალური თანხმობის შემდეგ, სოხუმში ზუგდიდიდან შპს „საქართველოს რკინიგზის“ ექსპერტები გუშინ დილით გაემგზავრნენ.

როგორც „მედიანიუსს“ „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ქართველ ექსპერტთა ჯგუფს რკინიგზის ტექნიკური დირექტორი იური ჭავჭანიძე ხელმძღვანელობს.

ექსპერტები 200-კილომეტრიან სარკინიგზო მონაკვეთს შეისწავლიან და შესაბამის დოკუმენტსაც მოამზადებენ, სადაც აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჭირო თანხის რაოდენობა იქნება განსაზღვრული.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლები თბილისში რამდენიმე დღეში დაბრუნდებიან.

## სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო

**კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სახელმწიფო კომისიამ ხელახლა უნდა შეისწავლოს, — ასეთია ევროსასამართლოს 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.**

მოლაშვილის უფლებების აღდგენის მოთხოვნით მისმა ადვოკატებმა ევროსასამართლოს აგვისტოში მიმართეს. როგორც „მედიანიუსს“ სულხან მოლაშვილის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განუცხადა, ევროსასამართლომ არაკომპეტენტურად სცნო სახელმწიფო სამედიცინო კომისიის დასკვნა მოლაშვილის ჯანმრთელობის თაობაზე. ეს დასკვნა ევროსასამართლოს აგვისტოში გაეგზავნა.



შავგულიძის თქმით, სულხან მოლაშვილს კარდიოლოგიური დაავადებები, კიდურების ვენების ვარიკოზული გაგანიერება, კენჭოვანი ქოლეცისტიტი და ვირუსული C ჰეპატიტი აწუხებს. თუმცა სახელმწიფო სამედიცინო კომისიის დასკვნაში საერთოდ არ იყო ნახსენები კარდიოლოგიური დაავადებები და ვირუსული C ჰეპატიტი.

27 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ევროსასამართლო ავალებს საქართველოს, სახელმწიფო ექსპერტიზის სამედიცინო კომისიამ ხელახლა გამოიკვლიოს მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სათანადო დასკვნა ევროსასამართლოს გაუგზავნოს.

## გვეშველა — ჩვენს უფლებებს დაიცავენ!

**გუშინ სპეციალურ სემინარზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემუშავებული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული გეგმის განხილვა დაიწყო.**

სემინარს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს მთავრობის წევრებიც დაესწრნენ. სახალხო დამცველის სოზარ სუბარის პროექტის მიხედვით, ყველა უწყებაში შეიქმნება სპეციალური აპარატი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს გააკონტროლებს. აღნიშნული რგოლი კი უშიშროების საბჭოს მიერ გაკონტროლდება.

„ეროვნული გეგმის შემუშავება ერთგვარი ბადის შექმნას გულისხმობს, რომელიც დაგვეხმარება ვიცოდეთ, რომელი უწყება რას საქმიანობს. ეს ნათელს გახდის, სად გვაქვს დარღვევა, სად არის საჭირო მეტი ძალისხმევა და საით უნდა მივმართოთ ჩვენი ძალები“, — განაცხადა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა.

აღნიშნული გეგმის განხორციელება სავარაუდოდ ექვსი თვის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

მედიანიუსი

## იწყება სტაჟიორთა მიღება

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საბაჟო დეპარტამენტში სტაჟიორთა მიღებას აცხადებს.**

როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, სტაჟირებაზე დაიშვებიან მხოლოდ ვეტერინარული და აგრონომიული განათლების (მცენარეთა დაცვის სპეციალობით) მქონე კანდიდატები.

სტაჟირების გავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დიპლომის ასლი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ორი ფოტოსურათი.

განაცხადის წარმოდგენის ვადაა 20 ოქტომბერი. საბუთები მიიღება ყოველდღე 10.00-დან 18.00 საათამდე. სტაჟიორთა რაოდენობა შეზღუდულია.

ინტერპრესნიუსი

შიში

# გადამფრენი გრიპი

**გაერომ ფრინველის გრიპთან ბრძოლის კოორდინატორად დანიშნა ამ სფეროს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი — ინგლისელი დევიდ ნაბორრო, რომელმაც დანიშვნის დღესვე განაცხადა: შეიძლება ვირუსი ადამიანისთვის საშიში გახდეს, ხოლო თუ ეპიდემია იფეთქებს, ის საერთოდ 150 მილიონამდე სიცოცხლეს შეიწირავს. „ოგონიოკმა“ (№ 41 ) სცადა გაერკვია: გამართლებულია თუ არა პანიკა უმაღლეს დონეზე?**

**ბატონ ნაბორროს გამოსვლის საგანგაშო ტონალობას იზიარებენ არა მარტო გაეროში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, მაგალითად, ახლახან გაავრცელა ბროშურა „რეაგირება ფრინველის გრიპის პანდემიის საფრთხეზე“, რომელშიც დაბეჭდილია მიმართვა ყველა ქვეყნისადმი — მიიღონ გადაუდებელი ზომები პანდემიისთვის მოსამზადებლად. ჯმო-სგან განსხვავებულ თავისეულ გზას გვთავაზობენ მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. ამრიგად, არსებობს ორი სტრატეგია.**

**პირველს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ავითარებს. ის გვთავაზობს, მთელი ძალები სპეციალური ვაქცინების შესაქმნელად გადავისროლოთ, რომლებიც ადამიანს ფრინველის გრიპის ვირუსისგან დაიცავს. სხვა მიდგომის მომხრეა მსოფლიო სასურსათო ორგანიზაცია. აქ მიაჩნიათ, რომ ვირუსის სტიქიური გავრცელების გამოსარიცხად საჭიროა ჩატარდეს ცხოველების ვაქცინაცია და მათი იზოლირება ველური ბუნებისგან.**

**სიტუაციის კომენტირება ვთხოვეთ სანკტ-პეტერბურგის გრიპის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში ოლეგ კუზნეცოვს.**

— ჩემი აზრით, მსოფლიო ექსპერტთა განგაში ძალზე გადაჭარბებულია, — განუცხადა მან „ოგონიოკს“. — ვითომ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ფრინველის გრიპის ვირუსი სახეობათა ბარიერს გადალახავს? ანუ მუტაციას განიცდის და დაიწყება მისი გადადება არა მარტო ჯაჭვით: ფრინველი — ადამიანი, არამედ ჯაჭვითაც: ადამიანი — ადამიანი? და ეს იქნება სწორედ პანდემიის მომასწავებელი. სინამდვილეში სახეობრივი აუთვისებლობადობა არც ისე ადვილი გადასალახია.

იმისთვის, რათა ვირუსის მუტაცია მოხდეს, ჯერ ერთი, საჭიროა, რომ ის დიდხანს ვითარდებოდეს ორგანიზმში. ფრინველი კი მეფრინველეობის ფაბრიკაში სამ თვეს ცოცხლობს. შემდეგ ვირუსი უნდა მოხვდეს სხვა ცხოველთა უჯრედში. ჩვეულებრივ, გრიპის ახალი სახეობები ადამიანს ღორისგან გადაედება. ანუ ფრინველებისგან ის ღორებში უნდა მოხვდეს და მათ ორგანიზმში უნდა გაიაროს ადაპტირება. მაგრამ არც ეს არის საკმარისი. იგივე ღორები იმავდროულად გრიპის „ადამიანური“ შტამითაც უნდა იყვნენ დასენიანებულები. აქ ორი ვითარება უნდა იყოს შეთავსებული: არაკონტროლირებული ეპიზოოტია (ეპიდემია ცხოველებში) და გრიპის ეპიდემია ადამიანებში. მაშინ მუტაციის ალბათობა რეალურად ჩნდება, თუმცა ის მაინც საკმაოდ დაბალია. თეორიულად შესაძლებელია, რომ ორი ტიპის ვირუსი ერთ ორგანიზმში შეხვდეს და ერთმანეთს გენების ნაწილი გაუცვალოს. სახეობრივი ბარიერი გადალახული იქნება, გაჩნდება ახალი ვირუსი, რომლის მიმართაც მედეგობა მოსახლეობის პოპულაციაში არ არსებობს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს პანდემია-ეპიდემია, რომელიც მთელ მსოფლიოს მოიცავს. დღემდე კი ფრინველის გრიპით ადამიანების დასენიანების მხოლოდ ისეთი შემთხვევებია ცნობილი, როდესაც დაავადება შინაური ფრინველის უმი სისხლის მიღებას მოჰყვა. აი, როცა ჩვენ ღორების დასენიანების შემთხვევების შესახებ გავიგებთ, განგაშიც მაშინ უნდა ავტეხოთ.

***— და რა უნდა გავაკეთოთ მაშინ?***

— უნდა ჩავატაროთ ჰიბრიდების წარმოქმნის პროფილაქტიკა. მანამდე კი უნდა გავწყვიტოთ ჯაჭვი: ფრინველი-ღორი-ადამიანი. ანუ ადამიანები გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით უნდა ავცრათ, რაც შეეხება ფრინველებს, უნდა მოვახდინოთ მათი უტილიზირება. ამ დროს სულაც არ არის საჭირო მათი დაწვა. თერმული დამუშავების შემდეგ დასენიანებული ფრინველი თავისუფლად იჭმევა. თუ წმინდა ფსიქოლოგიური მიზეზებით ეს ბევრისთვის მიუღებელია, კატებისა და ძაღლების საკვებად მათი გამოყენება სავსებით შესაძლებელია. ერთი სიტყვით, ადამიანების უნარიანი ვაქცინაციისა და დაავადებული ცხოველების უტილიზაციის შეთავსების შემთხვევაში არავითარ კატასტროფას არ უნდა ველოდოთ.

***— რა კეთდება რუსეთში ამჟამად?***

— წელს რუსეთში ჩატარდება მეფრინველეობის ფაბრიკების ვაქცინაცია. უცხოური ვაქცინის საფუძველზე ჩვენ ყოველწლიურად 22 მლნ. დოზას ვაწარმოებთ. ჯერჯერობით ეს სავსებით საკმარისია.

***— როგორ არის საკმარისი, თუ შემოდგომაზე და გაზაფხულზე გრიპით თითქმის ყველა ავადდება?***

— შემოდგომაზე და გაზაფხულზე ჩვენ უფრო ხშირად გრიპით არ ვავადმყოფობთ. ბევრი მწვავე რესპირატორულ დაავადებასაც გრიპს ეძახის. გრიპის ეპიდემია ყოველწლიურად მოსახლეობის 10 პროცენტს თუ ეხება. ბოლო დროს ჩვენთან ერთი და იგივე შტამები ვლინდება — $AH_1$ და $AH_3$ (ფრინველის გრიპის შტამია — $H_5N_1$). ამასთან, ძირითადად ბავშვები ავადდებიან, რადგან ზრდასრულ მოსახლეობას უკვე ჩამოუყალიბდა კოლექტიური იმუნიტეტი. საერთოდ უფროსების გრიპზე ხშირი აცრა მიზანშეწონილი არ არის, რადგანაც იმუნიტეტი სუსტდება და სარგებლობის ნაცვლად აცრას ზიანი მოაქვს. თუ ყველაფერი წესიერად გაკეთდება, ზრდასრული ადამიანისთვის ხუთ წელიწადში ერთხელ აცრაც საკმარისია.



***— დავუშვათ, სახეობრივი ბარიერი გადაილახა და პანდემიური ვირუსი მაინც გაჩნდა რუსეთში...***

— პანიკა არ უნდა ავტეხოთ, ამის ნაცვლად ჯობია ასაცრელ პუნქტებს მივაკითხოთ. მართალია, პირველ ხანებში ვაქცინა ყველას არ ეყოფა — ასეთ შემთხვევაში ხომ 70 მლნ. დოზა მაინც დაგვჭირდება. მაგრამ უკვე არსებობს გრიპის პანდემიასთან ბრძოლის ნაციონალური პროგრამა. პანდემიის შემთხვევაში საჭირო რაოდენობის ვაქცინა აუცილებლად გვექნება.

***— მაშ რატომ გვიწინასწარმეტყველებენ, რომ მოსალოდნელია ათასობით სასიკვდილო შემთხვევა?***

— მე ვფიქრობ, რომ უბრალოდ პასუხისმგებელი პირები ამ გზით ზედმეტად იზღვევენ თავს. უმჯობესია უარესი ვიწინასწარმეტყველოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ის არ განხორციელდეს.

ყოველწლიურად გრიპის შედეგების მიზეზით მსოფლიოში ისედაც 100 000 ადამიანი იღუპება — ძირითადად ხანდაზმულები და ბავშვები. როგორც წესი, სენიანდებიან ისინიც, ვინც გრიპით დაავადებულ ცხოველებს უვლის — ასე იყო ყოველთვის. მსოფლიოს გაერთიანება შეაშფოთა მაღალმა ლეტალურობამ აზიაში, მაგრამ, დაგვეთანხმებით, რეგიონში სამი ათეული ადამიანი მილიონობით სიკვდილი არ არის.

ვთქვათ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მაინც ხდება ვირუსის რეგისტრირება, რომელიც ადამიანს ადამიანისგან გადაედება. ჩვენ ასეთ შემთხვევაშიც გვაქვს ზომების მისაღებად ერთი-ორი წელი, — სანამ ვირუსი ჩვენამდე მოაღწევს... ასე რომ, მე პანიკას არ ავტეხდი.

**იუსტიცია**

# სამოქალაქო რეესტრმა კორუფცია წარსულს ჩააბარა

**სამოქალაქო რეესტრის რეფორმა ერთი წლის წინათ, საპასპორტო სისტემის იუსტიციის სამინისტროში გადასვლის შემდეგ დაიწყო. საპასპორტო და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ფუნქციები ერთ სტრუქტურაში გაერთიანდა. ამ ცვლილების მიზანი მოსახლეობის მომსახურებისას „ერთი სარკმლის პრინციპის“ დამკვიდრებაა. ამ სისტემაში არსებული კორუფციაც წარსულს ჩაბარდა. ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ექვსთვიანი პროექტის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს ხუთი ოფისი გარემონტდა და აღიჭურვა.**

თუმცა ამ მიმართულებით გასაკეთებელი კვლევაც ბევრია. სამომავლო გეგმების განსახორციელებლად იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ელჩმა საქართველოში როი რივიმ ხელი მოაწერეს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის თანახმად, ერთწლიანი პროექტის ფარგლებში სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის ცენტრალური ოფისის და ტერიტორიული ბიუროების მოწყობა და აღჭურვა მოხდება. პროექტი, რომლის ღირებულება მილიონ შვიდასი ათასი ევროა, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დააფინანსა და მას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია განახორციელებს. დაგეგმილია ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა და პროგრამული უზრუნველყოფა.

სამოქალაქო რეესტრის ბიუროებში სამუშაოდ საჭირო კადრები კონკურსის წესით შეირჩა. მათი ხელფასები 2006 წლიდან გაიზრდება. მინისტრის თქმით, მომავალი წლიდან იუსტიციის სამინისტრო დაიწყებს მუშაობას პირადობის მოწმობების, ელექტრონული ბარათების შეცვლის საკითხზეც, რაც დონორი ორგანიზაციების დახმარებით და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მოხდება.

**ლელა ხვადაგიანი**





**ოპოზიცია**

# ძველი რევოლუციონერთა ახალი კოალიცია

**საპარლამენტო უმრავლესობა კარგა ხანია, ნელ-ნელა მცირდება, თუმცა, ჯერჯერობით მისი რაოდენობა მაინც ძველებურად შთამბეჭდავია. როგორც ამბობენ, ამ დღეებში კიდევ რამდენიმე ადამიანი დატოვებს უმრავლესობის რიგებს და ოპოზიციის კოალიციურ ფრაქციაში გადავა.**

დიდი სურვილის მიუხედავად, კონსერვატორებმა და რესპუბლიკელებმა საპარლამენტო ფრაქციები ვერ შექმნეს, კონსერვატორებს იმედი ჰქონდათ, რომ შუალედური არჩევნების წყალობით ერთ დეპუტატს მაინც შემოიმატებდნენ, მაგრამ ამ იმედს რა ბედი ეწია, კარგად ვიცით (ეს კია, ერთი კაცი ვერ უშველიდა მათს გასაჭირს), რადგან ახლო მომავალში არ ჩანდა იმის პერსპექტივა, რომ რესპუბლიკელები და კონსერვატორები ფრაქციების შესაქმნელად ათ-ათი წევრის შეგროვებას მოახერხებდნენ, სხვა გზის პოვნა გახდა საჭირო.

ამდენად მათთვის მისაღები აღმოჩნდა დავით ზურაბიშვილის ინიციატივა — შეექმნათ კოალიციური ფრაქცია. ეს საკითხი გუშინ დღის თემად იქცა. მართალია, კონსულტაცია, დაახლოებით, თვენახევრის წინათ დაიწყო, მაგრამ აქამდე არ გახმაურებულა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის მომავალი ფრაქციის სახელწოდება, რასაც, კახა კუკავას თქმით, დიდ მნიშვნელობას არც ანიჭებენ. ის კი გადაწყვეტილია, რომ თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი იქნება, ოღონდ არა — ინიციატორობის გამო:

— ეს იქნება არა პარტიული ფრაქცია, არამედ დიდი კოალიცია, რომელშიც შევლენ კონსერვატორებიც, რესპუბლიკელებიც, უმრავლესობის წევრებიც, უპარტიონიც. თავმჯდომარე იქნება დავით ზურაბიშვილი, როგორც ნამდვილი ოპოზიციონერი ლიდერი, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ ასოცირდება, — ფრაქციის თავმჯდომარის არჩევის ასეთი კრიტერიუმი გამოჰყო კახა კუკავამ.

იმისათვის, რომ თავმჯდომარეობის სხვა ღირსეულ კანდიდატებს (მაგალითად, კობა დავითაშვილს, ზვიად ძიძიგურს ან დავით ბერძენიშვილს), ასე ვთქვათ, გული არ დაწყდეთ, კარგი საშუალებაა როტაციის პრინციპი. ახალ ფრაქციას, სავარაუდოდ, ზურაბიშვილის შემდეგ სხვა პირებიც უხელმძღვანელებენ მონაცვლეობით.

— კობა დავითაშვილისთვის მთავარი სკამი რომ იყოს, უმრავლესობას არ დატოვებდა და მაღალ თანამდებობასაც დაიკავებდა. როცა მეტი გაინტერესებს, ნაკლებს თმობ, — ამბობს კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი.

ის „მეტი“, რისთვისაც დავითაშვილი უსიტყვოდ თმობს ფრაქციის თავმჯდომარის არცთუ ძალზე მაღალ სავარძელს, კუკავას თქმით, „ვარდების რევოლუციის“ იდეალებია. სანამ ამაზე საუბარს განვაგრძობდეთ, ისიც გავიხსენოთ, რომ არ არსებობს ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებაზე არ ოცნებობს. ამ მიზნის მისაღწევი გზების ძიებაში



კი, ცხადია, ფრაქციის თავმჯდომარეობაზე უარის თქმა ღირს. ისე, კახა კუკავა ხშირად ამბობს ხოლმე, მე, პირადად, თანახმა ვარ, მუდამ ოპოზიციაში ვიყო, ოღონდ ხელისუფლება ჩვენს მოსაზრებებს იზიარებდესო. ხოლო რაკი ასე არ არის და რევოლუციის მამამთავრებმა ძველი იდეალები მიივიწყეს, ოპოზიცია ხელისუფლების შეცვლაზე ფიქრობს. ახალი კოალიციური ფრაქციის წევრები „ვარდების რევოლუციის“ აქტიური მონაწილენი კი არიან, მაგრამ იმ დროიდან მათ მხოლოდ იდეალები შემორჩათ და არა — ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლის სურვილი.

კახა კუკავას თქმით, კოალიციის საქმიანობა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოთი არ შემოიფარგლება, პარლამენტს გარეთაც დიდ მოძრაობას ჩაეყრება საფუძველი. რით განსხვავდება იგი სხვებისგან? შეკითხვას კუკავა ასე უპასუხებს:

— არაფერი გვაქვს საერთო რევანშისტებთან. მათგან განსხვავებით, ჩვენ როცა ვამბობთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ცუდიაო, არ ვგულისხმობთ, რომ წინა კარგი იყო. ჩვენს მოძრაობაში მხოლოდ ის ხალხი გაერთიანდება, ვისაც არ დავიწყებია რევოლუციური იდეალები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია თვითმმართველობა, მერის არჩევითობა, დემოკრატიის პრინციპები...

„ვარდების რევოლუცია“ დამთავრებულად არ მიაჩნია კახა კუკავას. ვისაც სკამებისა და კაბინეტების მეტი არაფერი აინტერესებდა, მიზანს მიაღწია და კმაყოფილია. მაგრამ რევოლუცია არ დამთავრებულა მათთვის, ვინც მეტს მოელოდა მისგან. კონსერვატორი კუკავა ახალი კოალიციის მიზანს „ვარდების რევოლუციის“ ბოლომდე მიყვანაში ხედავს.

ამაში გარკვეული წვლილი საპარლამენტო უმრავლესობის იმ წევრებმაც უნდა შეიტანონ, ოპოზიციურ ფრაქციაში გადასვლას რომ გეგმავენ. როგორც ირკვევა, ესენი არა ცნობილი სახეები, არამედ ნაციონალური მოძრაობის ის აქტივისტები იქნებიან, რომლებმაც ჯილდოდ მიიღეს დეპუტატობა, მაგრამ უცხო გარემოში თავი ვერ გამოიჩინეს.

— მათ დღეს მხოლოდ ბრძანებების შესრულება უწევთ, ჩვენთან კი დიქტატურა არ იქნება დამყარებული და საშუალება ექნებათ, გამოხატონ საკუთარი აზრი, — დავით ზურაბიშვილის თქმით, ეს უმრავლესობის ბევრ წევრს მოხიბლავს.

მორჩილი წევრებისადმი, ცოტა არ იყოს, ცინიკური დამოკიდებულება გამოხატეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა. მიხეილ მაჭავარიანის თქმით, თუ ისინი უმრავლესობიდან გავლენ, არაფერი შეიცვლება. ისევე როგორც შესაკრებთა გადანაცვლებით არ იცვლება ჯამი. როგორც ჩანს, თანაგუნდელები არაფრისმაქნის ადამიანებად მიაჩნია, ან ფიქრობს, რომ ოპოზიცია ხელისუფლების დანამატია და მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ფრაქციაში იქნება ესა თუ ის ადამიანი.

ვნახოთ, რა იქნება შემდგომ. ჯერჯერობით კი საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას პროტესტს უცხადებს კოალიციის სახით.

**რუსუდან გახარია**

**ინფორმაცია**

## სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს ეხმარებიან

**ნავთობპროდუქტების** ბიზნესით დაკავებული კომპანიები სტიქით დაზარალებულ ოჯახებს ეხმარებიან.

გუშინ ჩოხატაურის რაიონში ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და რეალიზატორთა კავშირის ორგანიზებით 24 ტონა საკვები პროდუქტები გაიგზავნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განუცხადა, აღნიშნულ დახმარებას ჩოხატაურის რაიონში სტიქიით დაზარალებული 160 ოჯახი მიიღებს.

**ინტერპრესნიუსი**

## მეცხრე ბლოკის სისტემაში ჩართვა ვერ ხერხდება

**თბილსრესის** მეცხრე ბლოკის სისტემაში ჩართვის თარიღს სადისტრიბუციო კომპანია „თელასი“ ვერ ასახელებს.

როგორც „მედიანიუსს“ „თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, სრესის მეცხრე ბლოკი ამ ეტაპზე ტესტირების რეჟიმში მუშაობს. ბლოკზე კვლავ არსებობს ხარვეზები და მისი რეაბილიტაცია გრძელდება.

მეცხრე ბლოკზე არსებული პრობლემების გამო, „თელასმა“ აზერბაიჯანიდან ელექტოენერგიის იმპორტი დაიწყო. იმპორტის რაოდენობა 4 მლნ. კილოვატსაათს შეადგენს. გაზრდილია ელექტროენერგიის იმპორტი სომხეთიდან, რაც 2 მლნ. კილოვატსაათს გაუტოლდა.

ამჟამად დედაქალაქი დღე-ღამეში 5 მლნ. 200 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოიხმარს.



## ენერგომომარაგებაში შეზღუდვები მოიხსნა

**გუშინ** საქართველოს ელექტროენერგიის მიწოდება უკვე აღუდგა. როგორც „მედიანიუსს“ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ორი დღის მანძილზე ელექტროენერგიის 150-მეგავატიანი შეზღუდვის მიზეზი ზესტაფონის 500-კილოვოლტიან ქვესადგურზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები გახდა.

ამ დროისთვის საქართველოს ენერგოსისტემა მთელი სიმძლავრით მუშაობს. მიწოდება გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მხრიდან 5 მლნ. კილოვატსაათს შეადგენს.

**მედიანიუსი**

## ფაქტი სინამდვილეს არ შეეფერება

**ცხინვალში** დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის საინფორმაციო სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ქართული სოფლიდან ცხინვალში ნაღმი ისროლეს, სინამდვილეს არ შეეფერება.

ეს ინფორმაცია ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვის პრესსამსახურმა გუშინწინ გაავრცელა. ინფორმაციის თანახმად, ცხინვალის ერთ-ერთ გარეუბანში ე. წ. ტექსტილის დასახლებაში ნაღმი აფეთქდა, რომელიც, სავარაუდოდ, ქართულ სოფელ ხეითიდან იყო ნასროლი.



გუშინ დილით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც სამშვიდობო ძალების ქართული, ოსური და რუსული ბატალიონების, ასევე ცხინვალში დისლოცირებული ეუთოს მისიის წარმომადგენლები, ეს ფაქტი შეისწავლა.

## სამოქალაქო რეესტრის რეფორმა

**საქართველოს** იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სისტემის რეფორმის მხარდასაჭერად დონორი ორგანიზაციებისგან 1,7 მლნ. ევრო გადაეცემა.

გუშინ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ელჩმა საქართველოში როი რივმა იუსტიციის სამინისტროში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ოფიციალურ დოკუმენტს ხელი მოაწერეს.

პროექტი ერთწლიანია, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსდება და მას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია განახორციელებს.

პროექტის ფარგლებში სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის ცენტრალური ოფისი და 20-მდე ტერიტორიული ბიურო მოეწყობა. გარდა ამისა, დაგეგმილია ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა და პროგრამული უზრუნველყოფა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას განცხადებით, სამოქალაქო რეესტრის რეფორმა მას შემდეგ დაიწყო, რაც აღნიშნული სისტემა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადმოვიდა.

**ინტერპრესნიუსი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ალექსანდრე ჭაჭია: ეუთო უსარგებლო ორგანიზაციაა

**რეგნუმ საინფორმაციო სააგენტო.** REGNUM

მოძრაობა „სამეგრელოს“ ლიდერმა ალექსანდრე ჭაჭიამ მოსკოვში, „აღმოსავლეთი ევროპის დემოკრატიისა და მულტიკულტურალიზმის“ მეორე ევროპულ ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული რეგიონული კონფლიქტების მოგვარების საქმეში ეუთო უსარგებლო ორგანიზაციაა.

ჭაჭიას აზრით, თვითაღიარებული რესპუბლიკების ირგვლივ გაჩაღებული კონფლიქტების მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი თავს იგრძნობს „ევრაზიული ცივილიზაციის მძლავრ ცენტრად“ და მტკიცედ დააფიქსირებს თავის პოზიციას. ამის ალტერნატივაა რუსეთის დაშლა 5-6 და უფრო მეტ სახელმწიფოდაც კი. მათ ყველა აუცილებლად აღიარებს და დემოკრატიულ ქვეყნებად გამოაცხადებენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი მსოფლიო გაერთიანებისთვის ხელმისაწვდომს გახდიან თავიანთ წიაღისეულს“, — შენიშნა ჭაჭიამ.

**არც ჩვენ გვაწყენდა**

# ბოიერია რუსეთის სინდისია

**რუსეთი უკვე კანკალებს. მას ძალზე აშინებს ფერადი რევოლუცია. ქვეყნის ელიტა ხმამაღლა ლაპარაკობს, რომ იქ დემოკრატიის ნატამალიც არ არის, ამიტომ აუცილებელია რეფორმების განხორციელება, თუნდაც უსისხლო რევოლუციის მოხდენა.**

თვით რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საჯაროდ აღიარებს, რომ ქვეყანას ხრავს ალკოჰოლიზმი, ამორალიზმი და ფაშიზმი. ეს მან ხმამაღლა თქვა. აი, ჩუმად კი ისეთი საზოგადოებრივი ორგანო შექმნა, რომლის საბრძოლო სამიზნეა ბიუროკრატიზმი. მისი სახელწოდებაა საზოგადოებრივი პალატა.

კრემლმა უკვე წარმოადგინა ის 42 პიროვნება, რომლებიც პირველ ეტაპზე (კიდევ ორჯერ წარმოადგენენ 42-42-ს) ამ საზოგადოებრივ პალატაში შევიდნენ. ისინი შეირჩა კომპეტენტური ექსპერტებისა და უშუალოდ პრეზიდენტის თანხმობით. აქ თავი მოუყარეს ინტელიგენციის ნაღებს, რომელსაც საერთო ჯამში უწოდეს „ერის სინდისი“.

და აი, ამ „ერის სინდისში“ თქვენ ნახავთ სახელგანთქმულ ქირურგს ლეო ბოკერიასაც. მართალია, რუსეთის მასმედია თავის „შემოქმედებაში“ ბატონ ლეოს მოიხსენიებს უფრო მეგრელად, ვიდრე ქართველად, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ამას რისთვის და რატომ აკეთებს. მათს ვირეშმაკობას რა დიდი მიხვედრა უნდა!

სხვათა შორის, ამ 42 პიროვნებას შორის შეყვანილია 5 (ყველაზე მეტი) ჟურნალისტი, 4 — სასულიერო პირი, 3 — ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, 2 — ოლიმპიური ჩემპიონი (ირინა როდნინა და ალინა კაბაევა), 1 — სკოლის პედაგოგი და ა. შ.

იცით, რა შეუძლიათ საზოგადოებრივი პალატის წევრებს? — ნებისმიერი ბიუროკრატის (თვით მინისტრის) გამოძახება, სასურველ საიდუმლო დოკუმენტში ჩახედვა, სატელევიზიო ეთერში ყოველთვიურად ერთი საათით გასვლა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პრობლემებში ჩარევა, და, რაც მთავარია, კანონების ექსპერტიზა! სამაგიეროდ, საზოგადოებრივ პალატაში ყოფნისას ვერცერთი ვერ დაიკავებს მინისტრის, პარტიის ლიდერის ან დეპუტატის პოსტს. თუ ასეთი რამ უნდა, აუცილებელია პალატიდან წასვლა.

ოფიციალურად საზოგადოებრივი პალატის წევრებს ხელფასები არ ექნებათ, თუმცა ამ ორგანოს 2006 წლისათვის უკვე ჩაურიცხეს 120 მილიონი რუბლი. ვარაუდობენ, რომ „ერის სინდისი“ ამ თანხას ჭკვიანურად დახარჯავს.

თვით საზოგადოებრივი პალატის შექმნის ორგანიზატორები ხმამაღლა აცხადებენ, რომ პალატის წევრებს დასჭირდებათ დიდი მოქალაქეობრივი გმირობის გამოჩენა, რათა დაკისრებულ მოვალეობას თავი გაართვან. რუსეთის ჩამყაყებულ ბიუროკრატიასთან ბრძოლა, დღეს მართლაც მოითხოვს სიმამაცეს.

დაბოლოს: არც საქართველოს აწყენდა ერთი ასეთი საზოგადოებრივი პალატის (თუნდაც, — სხვა სახელით) შექმნა. მართალია, ახალი ხელისუფლება გვყავს, ბიუროკრატიას იგი თავგამეტებით ებრძვის, მაგრამ, სამაგიეროდ, იმდენია ახალი ცოდვები, რომ მათ წინააღმდეგ გალაშქრებას 126 კაცი ჩვენთანაც სჭირდება.

ისე, ჩვენი პრეზიდენტის განკარგულებით აქაც შეიქმნა ერთ კონკრეტულ სფეროზე — სასჯელაღსრულების სისტემაზე მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭო, მაგრამ მისი ბრძოლა უკვე ქარის წისქვილთან ბრძოლას ჰგავს. არა, ხშირად მწარედაც გამოდიან მწვავე საკითხებზე, მაგრამ, მათ გაკაპასებას ყურს არავინ უგდებს. არადა, მთავარი მოსმენა და ყურისგდებაა, რომლის შედეგადაც უნდა აღმოიფხვრას ნებისმიერი დავა!

**ბონდო გულიაშვილი.**

**ბანკი**

# ფული — პატარა „მუშაკი“

**სისტემატურად აბრუნე ფული, იგი პატარა „მუშაკია“. ისე უნდა მოიქცე, რომ მან იმუშაოს და არ ეძინოს, იბრუნოს და ნამატით დაგიბრუნდეს. ამ მარტივ ჭეშმარიტებას დღეს საქართველოში მრავალი ბანკი მისდევს, თუმცა ამათგან გამორჩეულია „რესპუბლიკა“, რომელიც საქართველოში პირველი კომერციული ბანკია და მძაფრი კონკურენციის პირობებში სულ უფრო და უფრო ახერხებს თავისი მთლიანი აქტივების გაზრდას.**

**ამ დღეებში შევხვდი ბანკ „რესპუბლიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ლაშა პაპაშვილს და ვთხოვე ამ წარმატების შესახებ მოეთხრო.**

— ჩვენი ბანკი, თქვა მან, — ჯერ კიდევ 1991 წელს დაარსდა. ჩვენ უნივერსალურ მომსახურებას ვთავაზობთ როგორც კორპორატიულ კლიენტებს, ასევე ფიზიკურ პირებს. ეს გახლავთ კომერციული საქმიანობის დაფინანსება, „რითეილ ბანკინგი“, სამომხმარებლო სესხები, სავაჭრო ოპერაციების დაფინანსება, სადაზღვევო მომსახურება.

***— როგორც ვიცი, თქვენ აქტიურად თანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.***

— დიახ, ეს მართალია. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საშუალებას გვაძლევს გავიზიაროთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და კიდევ უფრო სწრაფად განვვითარდეთ. ასეთი ურთიერთობა ბანკმა ჯერ კიდევ 1999 წელს დაიწყო, კერძოდ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ბანკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტში. წლების განმავლობაში ბანკი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში მოღვაწე პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

***— თქვენს წარმატებულ საქმიანობაში წვლილი მიუძღვის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას. კერძოდ, რა, ხომ არ დააკონკრეტებდით?***

— ბანკი „რესპუბლიკა“ პირველი ქართული კომპანიაა, რომელიც საერთაშოსიო საფინანსო კორპორაციამ „IFC-ბიზნესის განვითარების“ პროექტის ფარგლებში პილოტ კომპანიად შეარჩია.

პროექტის მსვლელობისას IFC-ის ექსპერტები დაწვრილებით აკონტროლებდნენ კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვის მეთოდებს და ბანკის მუშა ჯგუფთან ერთად ზრუნავდნენ ამ მეთოდების დახვეწაზე.

გვჯერა, რომ ამ პროექტის შესაბამისი ახალი ხედვა ხელს შეუწყობს ბიზნეს-პარტნიორებთან ურთიერთობის განვითარებას, რადგან სწორი კორპორაციული მართვა, როგორც პოტენციური ინვესტორების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვის მყარ გარანტიას იძლევა. სწორედ ეფექტური კორპორაციული მართვით მიიღწევა აქციონერების, როგორც ბიზნეს-პარტნიორების ინტერესებისა და უფლებების დაცვა, ბიზნესის გამჭვირვალობა და ორგანიზაციული მართვის მოქნილობა.

სწორედ ამ პროექტის მეშვეობით შევძელით სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურის გაუმჯობესება და ცოდნის ამაღლება. შეიცვალა ბანკის დირექტორთა საბჭო და ბანკს მხოლოდ დაქირავებული მენეჯმენტი მართავს. სამეთვალყურეო საბჭოში როგორც დამოუკიდებელი წევრი, მოვიწვიეთ უცხოელი ექსპერტი, საბჭოსთან შეიქმნა სამუშაო კომიტეტები (აუდიტის, საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების).

ამის შედეგად გაიმიჯნა როლები და ფუნქციები მმართველ რგოლებს შორის და შეიქმნა მექანიზმები იმისათვის, რომ დაეხვეწა ბანკის კომუნიკაციური სტრატეგია. ეს იმაში გამოიხატა, რომ გაიზარდა საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მოცულობა და ხარისხი.

***— ბატონო ლაშა, თქვენმა ბანკმა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ მსხვილი ინვესტიცია განახორციელა. რით იყო ეს გამოწვეული?***

— სწორედ ეს არის მაგალითი ეფექტური კორპორაციული მართვისა. „ალდაგიც“ ამ პროექტის მონაწილეა და ჩვენი მოტივაციაც ის იყო, რომ ამ ორი კომპანიის აქციონერებს ერთნაირი ბიზნეს-ხედვა ჰქონდეთ. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად გაგვიადვილებს ისეთ ბიზნეს-პარტნიორებთან თანამშრომლობას, რომლებიც ჩვენთვის ნაცნობ და მისაღებ მართვის პრინციპებს აღიარებენ. პრინციპებს, რომლებიც ჩვენი ბიზნეს-პარტნიორების წარმატებას განაპირობებენ.



***— ორიოდე სიტყვით იქნებ ბანკის ფინანსური შედეგებიც გაგვაცნოთ?***

— შარშან ბანკმა ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა წმინდა მოგების შეფარდება საწესდებო კაპიტალთან და აქტივებთან, საუკეთესო შედეგი აჩვენა. 2005 წელსაც ბანკმა შეინარჩუნა ტრადიციადქცეული მაღალი ზრდის ტემპები, საბაზრო პოზიციების განმტკიცება, კლიენტები და ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტის საიმედო იმიჯი.

ნამდვილად ვამაყობთ ჩვენი ფინანსური მონაცემებით. იმით, რომ ბანკის აქტივებმა 200 მილიონ ლარს გადააჭარბა, რომ ვართ ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ფინანსური ინსტიტუტი ამიერკავკასიაში. თუმცა ვთვლით, რომ ბანკის უმნიშვნელოვანესი აქტივი ჩვენი კლიენტებია, საქართველოს უმსხვილესი კომპანიები, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო, ათი ათასობით ფიზიკური პირი.

2005 წელს „რესპუბლიკამ“ თანამშრომლობა წამოიწყო „Commerzbank“-თან, რომელმაც, პირველად ამიერკავკასიაში, 4 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი გამოყო ბანკ „რესპუბლიკისათვის“.

***— ფილიალებზე რას გვეტყოდით?***

— ჩვენი ბანკის ფილიალები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია. ოქტომბრის ბოლოს გაიხსნება ბათუმის ფილიალი, დაგეგმილია ქუთაისის ფილიალის ამოქმედებაც.

***— რახან, ფინანსურად ძლიერი ხართ, ალბათ სპონსორობასაც ეწევით.***

— დიახ, საბანკო საქმიანობასთან ერთად, ბანკი აქტიურად უჭერს მხარს ქართულ კულტურას. ჩვენი დახმარებით მოხდა რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლის აღდგენა, უკვე მეორე წელია ბანკი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპონსორია. ბანკი მუდმივად აფინანსებს სხვადასხვა პროექტს. ამავე დროს, ჩვენ აქტიურად ვეხმარებით ქართველ მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს განათლების მიღებაში.

***— დაბოლოს, მაინც ვინ არის თქვენთვის კლიენტი და ყოველდღიურ საქმიანობაში რით ხელმძღვანელობთ?***

— თხუთმეტი წელია საქართველოს საბანკო ბაზარზე ვართ. ჩვენ ვიცით, რა სჭირდებათ ჩვენს კლიენტებს, როგორ უნდა დავაზღვიოთ ჩვენი რისკები და ბიზნესი მომგებიანი გავხადოთ.

ბანკ „რესპუბლიკას“ პროფესიონალების გუნდი მართავს, რომელიც ყოველთვის მზად არის, კლიენტს დაეხმაროს ან გაუწიოს კონსულტაცია, რომელიც მუდმივად მუშაობს ბანკის განვითარებასა და მისი პოზიციების გაძლიერებაზე.

ბანკში მომუშავეთა მაღალი პასუხისმგებლობა, ეთიკური სტანდარტები: პატიოსნება, კონფიდენციალურობა, ნოვატორული ხედვა, ცოდნის მუდმივი სრულყოფა განაპირობებენ უწინარესად ბანკ „რესპუბლიკის“ წარმატებას.

**ესაუბრა ლალი ქინქლაძე.**

№ 241. სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 2005 წელი.

ბედი და ადამიანები

# ლეგენდარული პიროვნება



### რბევის წლები

რატომ გადაწყვიტა დედამ თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩვილი ბავშვით ხელში მიეტოვებინა სატახტო ქალაქი? ამ კითხვას პასუხი ნაწილობრივ თავად ანდროპოვმა გასცა, როდესაც 1939 წლის ახსნა-განმარტებით ბარათში დაწერა 1915 წლის რბევის შესახებ, რომელიც არ განუცდია მისი ვითომდა პაპის მაგიერს. როგორც ახლა ირკვევა, სამხედრო „პატრიოტიზმის“ თარეშში თავად იური ვლადიმერის ძემაც იწვნია და მთელმა მისმა ოჯახმაც.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 238-239-240.

არეულობა მოსკოვში 27 მაისს დაიწყო ცინდელისა და შრადერის ფაბრიკებში — რბევა იმთავითვე ანტიგერმანული იყო. მეორე დილით მცირერიცხოვანი ბრბო ბოროვიცის კარიბჭესთან გამოჩნდა. ხალხს ნიკოლოზ მეორის პორტრეტები ეჭირა და „ბოჟე, ცარია ხრანის“ მღეროდა. სულ უფრო მზარდი მასები წითელი მოედნისკენ, მთავარი პატრიოტების, მინინისა და პოჟარსკის ძეგლისკენ დაიძრა. იქიდან მარბიელთა ნაწილი ზედა რიგებისკენ გაემართა, იქ ეინემისა და ცინდელის მაღაზიები აიკლეს. მას შემდეგ, რაც კიტაი-გოროდის სავაჭროებს გაუსწორდნენ, ხალხის ნაწილი ლუბიანკისკენ გაემართა, ნაწილი კი პეტროვკაზე აგრძელებდა თავის საქმეს.

„პატრიოტული მსვლელობის“ მონაწილე მოსკოველები ამტვრევდნენ შუშებს, ძარცვავდნენ ნებისმიერი არარუსული გვარის მქონე მეპატრონეთა მაღაზიებს, მაშინ ხომ გვარები პირდაპირ ვიტრინებზე იყო დაწერილი. შებინდებისას ქუჩებში ნაძარცვით ხელში რიგიანად ჩაცმული ადამიანებიც კი გამოჩნდნენ. „პატრიოტები“ ფლეკენშტეინის მაღაზიას ვერ ასცდებოდნენ — ეს მაღაზია მეტისმეტად თვალშისაცემ მიზანს წარმოადგენდა. იური ანდროპოვს, რა თქმა უნდა, არ ახსოვდა 1915 წლის ამბები, ალბათ, მათ შესახებ უფრო დედისა და ბებიის მონაყოლით იცოდა. მეტიც, როგორც ჩანს, რბევას მოსავალი გენმდივანი და მისი ოჯახი თებერვლის რევოლუციის დროსაც შეესწრნენ.

კრემლის არქივში შემონახულია 18 წლის ანდროპოვის თხზულება, რომელიც მაიაკოვსკის შემოქმედებისადმია მიძღვნილი. იურა, კერძოდ, წერს: „თებერვლის რევოლუციამ მოიტანა დარბევები და შავრაზმელთა თარეში. „ეშმაკმა წაგიღოთ, შავრაზმელო ნაძირალებო!“ — აღმოხდა მაიაკოვსკის“. ისე რომ, ალბათ, არც ღირს იმაზე ლაპარაკი, რომ ანდროპოვის ოჯახს უამრავი სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა საცხოვრებელი ადგილის გამოსაცვლელად და იური ვლადიმერის ძის წარმომავლობის ისტორიის ისე შესაცვლელად, რომ ველარავის ეცნო. ორი დარბევის შემდეგ მარტო კავკასიაში როდი გაიქცევა კაცი. ეტყობა, ამ განცდებმა გადააწყვეტინა იური ვლადიმერის ძის ნათესავებს ლეგენდა შეეთხზათ შვილისთვის, რომელსაც ცხოვრება ახალი რეჟიმის ხელში მოუწევდა. სულ ადვილად რომ აუკულმართებდა მილიონობით ადამიანის ბედ-იღბალს. „ორფსკერიანი“ დრო ლეგენდებს ბადებდა. ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანთან გვაქვს საქმე. ვინ იცის, კიდევ რამდენ ამგვარ „ორმაგ“ ბიოგრაფიას მალავს კრემლის არქივები?“

...ვლადიმერ პუტინის განკარგულებით, 90-იანი წლების ბოლოს ლუბიანკის მოედანზე, უშიშროების ფედერალური ბიუროს შენობაზე აღდგენილ იქნა 1991 წელს დემონტირებული იური ანდროპოვის მემორიალური დაფა. თუმცა მოსკოვში არის ნაგებობა, რომელთანაც ჩეკისტთა კერპისთვის განკუთვნილი მიხაკებისა და ვარდების მიტანა არანაკლებ უპრიანი იქნებოდა. ფბ-ს შენობათა კომპლექსიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, ბოლშაია ლუბიანკაზე, № 26 სახლთან, სადაც, როგორც ჩანს, დაიბადა ჩვენი პუბლიკაციის გმირი.

ფლეკენშტეინის „სახელოსნომ“ ჩვენამდე ისე მოაღწია, რომ სულ ოდნავ შეიცვალა იერი და ნუმერაციაც კი შეინარჩუნა. სიტყვამ მოიტანა და, ამ ნაგებობას არავითარი დამცველი სტატუსი არ გააჩნია. 1995-2004 წლების კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ იური ლუჟკოვის განკარგულების საფუძველზე, „ანდროპოვის სახლი“ მერიისა და მშენებელი ფირმის წილობრივ საკუთრებაშია. მალე ნაგებობას, სადაც ქვეყანას უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პერსონაჟი მოევლინა, კომერციული ფირმები დაიკავებენ...

**დენის ბაბიჩენკო,**
**ჟურნალი „იტოგი“**
**№ 40, 2005 წ. ოქტომბერი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გრიგოლ ქათამაძე: „პრობლემა პოლიტიკურ სიბრტყეში არ გადავა“

**(პირველი გვერდიდან)**

გასულ კვირას, ჩემთან კარგა ხანს იმყოფებოდნენ გონჩარის ქუჩაზე მახლობლად მდებარე სახლების მცხოვრებლები. მათ მთლად სარწმუნო ინფორმაცია არ ჰქონიათ. მე ყველაფერი განვუმარტე, ჩემი თანდასწრებით მშენებლებმა ამ ადამიანებს გადასცეს დოკუმენტები. მათ ორშაბათს დამატებითი დოკუმენტებიც გადავეცით. მივაღწიეთ მორიგებას იმის თაობაზე, რომ განახლდება ღობის მშენებლობა. ისინი დაგვთანხმდნენ, მაგრამ ოთხშაბათს დილით, როცა მივედი სამშენებლო უბანზე, მობინადრეებმა განმიცხადეს, რომ მათ არავისთვის დაუვალებიათ ჩემთან შეხვედრა და მოლაპარაკების გამართვა. ასე შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებლად. ვიღაცამ მობინადრეებს უთხრა, რომ დაიხურება ეზოს გასასვლელი და იქ ხალხს მხოლოდ საშვებით შეუშვებენ. ღმერთმა დაგვიფაროს, ეს არსად არ არის დაფიქსირებული, არანაირი ღობე, არანაირი ჭიშკარი არ აღიმართება.

რა თქმა უნდა, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც სურთ, ეს სიტუაცია პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ. ერთი რამ შემიძლია გითხრათ: სანამ საქართველოს პრეზიდენტი იქნება მიხეილ სააკაშვილი, მე კი ვიმუშავებ საქართველოს ელჩად უკრაინაში, ვერავინ მოესწრება იმას, რომ ეს პრობლემა გადაიტანონ სახელმწიფოთაშორის, პოლიტიკურ სიბრტყეში.

კატეგორიულად ავუკრძალე მშენებლებს ძალის გამოყენება, მაგრამ საკითხი უნდა გადაწყდეს. მე გავუგზავნე წერილი ქალაქის მერს, შევჩენკოს რაიონის პროკურორს. მე მსურს, რომ ქალაქმა და მისმა ხელმძღვანელებმა თვითონ გადაჭრან კიევის მცხოვრებლებთან წარმოქმნილი პრობლემა. თუ კიევი გამოიხმობს თავის გადაწყვეტილებას და დაჩქარებულ ვადებში შემოგვთავაზებს სხვა ვარიანტებს, ეს მისაღები გადაწყვეტილება იქნება. ჩვენ გვსურს, რომ საქართველოს ჰქონდეს ღირსეული წარმომადგენლობა უკრაინაში.

### სხვათა შორის

**უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ნიკოლოზ სპისმა განგვიცხადა, რომ 2004 წლის ივლისში, სამთავრობათშორისო ოქმის საფუძველზე დაიდო ხელშეკრულება უკრაინის საელჩოს კომპლექსის მშენებლობის მიზნით ჭავჭავაძის პროსპექტზე მიწის ნაკვეთის იჯარით აღების შესახებ. ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ჩვენ მივიღეთ საბუთი მისი 49 წლის ვადით იჯარით აღების შესახებ. შემუშავებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, იგი მოიწონა საქართველოს სახელმწიფო ექსპერტიზამ, მიღებულია ნებართვა, ტერიტორია მომზადებულია მშენებლობის დასაწყებად. იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წელს დავიწყებთ კომპლექსის მშენებლობის აქტიურ ფაზას. არ გამოვრიცხავ, რომ ოფიციალური ცერემონია შეიძლება გაიმართოს ორი ქვეყნის ხელმძღვანელების მონაწილეობით. მე ვერ ვხედავ რაიმე ისეთ დაბრკოლებას, რომელიც შეგვიშლის ხელს მშენებლობის თუნდაც დღეს დაწყებაში“, — თქვა ნიკოლოზ სპისმა.**

**„День“ (უკრაინა).**

# მოსკოვის პასუხი ულტიმატუმზე

**მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობაში ახალი კრიზისია. რუსეთის დელეგაცია არ გაემგზავრება საქართველოში 17-18 ოქტომბრისთვის დანიშნულ ბიზნეს-ფორუმში და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხთა სამთავრობათშორისო კომისიის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.**

საქართველოში რუსეთის საელჩოს პრესმდივანმა ევგენი ივანოვმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ეს ღონისძიებები გაიმართება მოგვიანებით და მათი გადატანა განაპირობა იმ არახელსაყრელმა ფონმა, რომელიც შეიქმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების ზონებში მყოფ რუსეთის სამშვიდობო ძალების შესახებ 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ულტიმატუმის ხასიათის დადგენილების შედეგად. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ეს დადგენილება შეაფასეს როგორც პროვოკაცია. რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ წამოჭრა საკითხი „საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების შემოღების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის“ შესახებ.

რუსეთი საქართველოს საგარეოსავაჭრო პარტნიორებს შორის პირველი ადგილი უკავია — მის წილად მოდის საქართველოს საქონელბრუნვის თითქმის მეხუთედი. 17 ოქტომბრისთვის დაგეგმილ სხდომაზე, რომელსაც დაესწრებოდნენ კომისიის თანათავმჯდომარეები — საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და რუსეთის ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი, აპირებდნენ განეხილათ ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გაზის, საბაჟოების სფეროებში თანამშრომლობის განვითარების საკითხები და სხვა. რაც შეეხება ბიზნესმენების შეხვედრას, იგი ჩაფიქრებული იყო, როგორც იმ ფორუმის მსგავსი ღონისძიება, რომელიც უკვე გაიმართა თბილისში 2004 წლის მაისში. პირველი ფორუმი ყველაზე მეტად დაგვამახსოვრდა იმით, რომ რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს კახა ბენდუქიძეს შესთავაზეს ეკონომიკური რეფორმების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პოსტი.

საქართველომაც დემარშითვე უპასუხა დემარშს. „მე უარი ვთქვი მოსკოვში ვიზიტზე — 18-20 ოქტომბრისთვის მიწვეული ვიყავი ანტიტერორის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე დასასწრებად, — განაცხადა პარლამენტის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე გაბაშვილმა. — რას გამოიწვევს ყოველივე ეს? რუსები გაგვინაწყენდნენ. მაგრამ, მოდით, ამ საკითხს შევხედოთ ჩვენი თვალით — საქართველოს ართმევენ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, სამშვიდობო ძალები კი ფაქტობრივად, ხელს უწყობენ ამას. რამდენ ხანს შეიძლებოდა ამის მოთმენა?“. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, თუ ვერ იქნება მიღწეული წინსვლა კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში, რუსმა სამშვიდობოებმა სამხრეთ ოსეთი უნდა დატოვონ მომავალი წლის 10 თებერვლის, აფხაზეთი კი — 1 ივლისის შემდეგ.

ოქტომბრის მესამე დეკადის შუა რიცხვებში მოსკოვში უნდა გაიმართოს მოლაპარაკება სამხრეთ ოსეთის თაობაზე, რომელზეც სამშვიდობო ძალების სარდლობას მიუთითებენ, თუ როგორ უნდა შეასრულონ შემდგომში დაკისრებული მისია. გასულ უქმე დღეებში კი აფხაზეთში მყოფ სამშვიდობოებს ეწვია რუსეთის ფედერაციის საბჭოს დელეგაცია. სენატორებმა განაცხადეს, რომ მშვიდობისმყოფლები სრული მოცულობით ასრულებენ იმ ფუნქციებს, რომლებიც მათ ეკისრებათ 1994 წლის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მანდატით. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობაც დაჟინებით მოითხოვს, რომ გაგრძელდეს რუს მშვიდობისმყოფელთა მისია.

**მიხეილ ვიგნანსკი,**
**„Время“**
**17 ოქტომბერი.**


## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-GE

### მოწვევა ინტერესის გამოსახატავად

საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობაზე

თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენითი სამუშაოები მდინარე არაგვის აუზში

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს ინტერესის გამოსახატავად საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, რომელიც შეეხება მდინარე არაგვის აუზში თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენითი სამუშაოების წარმოებას. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად.

2. სამუშაოები მოიცავს: ა) ჭოპორტის წყალსაცავის გაწმენდით სამუშაოებს; ბ) ნატახტრის ახალი წყალსადენში არსებული №1, 2, 3, 4 სალექრების, საინფილტრაციო მოედნების, სადრენაჟო მილდენების სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაშემოვლითი ნედლი წყლის მილდენის მოწყობის სამუშაოებს; გ) მისაქციელის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; დ) ჭოპორტის წყალსადენის წყალმიმღების და დამცავი დამბის აღდგენ სამუშაოებს; ე) საგურამოს წყალსაცავის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; ვ) აბანოსხევის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს. სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2005 წლის დეკემბრის დასაწყისიდან 2006 წლის მარტის ბოლომდე.

3. სატენდერო დოკუმენტაცია გამოცემულ იქნება 2005 წლის 1 ნოემბერს. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეუკვეთონ უსასყიდლოდ მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე ინტერესის გამოხატვის წერილის მოწოდებით. სატენდერო დოკუმენტები გამოცემისთანავე გაეგზავნება ფოსტით მოთხოვნილ მისამართზე ყველა იმ ფირმას, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს. თუკი ფირმა მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე.

4. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა იქნება 2005 წლის 28 ნოემბერი. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ზუსტი დრო და წინადადებების საბანკო გარანტიის ოდენობა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა მოაწოდონ ინტერესთა გამოხატვის წერილები და შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**იეთიმ გურჯის ქ. №7-ბ, თბილისი 0105**
**ტელ: 94-32-40, 94-29-47,**
**92-34-70, 92-34-69**
**ფაქსი: 94-04-39**
**ელ-ფოსტა: MDF@MDF.ORG.GE**


# შამილ ბასაევი პასუხისმგებლობას კისრულობს



**გასულ კვირას ნალჩიკზე მოთარეშეთა თავდასხმის გამო პასუხისმგებლობა იკისრა ერთ-ერთმა წამყვანმა ჩეჩენმა საველე მეთაურმა შამილ ბასაევმა.**

ბასაევს რუსეთის ხელისუფლება ადანაშაულებს ტერორიზმსა და მასობრივ მკვლელობებში.

სეპარატისტთა ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში, ბასაევი ამტკიცებს, რომ თავდასხმის დროს დაიღუპა 41 მოთარეშე და რუსეთის ძალოვანი სამსახურების 140-მდე თანამშრომელი.

რუსეთის ოფიციალურ პირთა მონაცემებით, ნალჩიკში დაიღუპა 12 მშვიდობიანი მცხოვრები და სამართალდამცავ ორგანოთა 24 წარმომადგენელი, დაღუპულ მოთარეშეთა რიცხვმა კი 92 შეადგინა.

ბასაევის მტკიცებით, ნალჩიკში 15-მდე ობიექტზე თავდასხმა განახორციელა 217 მოთარეშემ. რუსეთის ხელისუფლება კი აღნიშნავდა, რომ თავდამსხმელთა რიცხვი 100-300 იყო.

ამ განცხადების სარწმუნოობის შემოწმება შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ „კავკაზ-ცენტრს“ წინათაც არაერთგზის გამოუქვეყნებია შამილ ბასაევის, ასლან მასხადოვისა და ჩეჩენ სეპარატისტთა სხვა ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებები.

შამილ ბასაევმა, რომლის დაღუპვის შესახებაც არაერთხელ იტყობინებოდნენ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ამ ქვეყნის ოფიციალური პირები, თავის დროზე, ასევე იკისრა პასუხისმგებლობა 1995 წელს ბუდიონოვსკში, 2004 წელს ბესლანში, 2002 წელს მოსკოვში ტერაქტების განხორციელებისთვის.

2003 წელს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა და გაერომ ბასაევი შეიყვანა საერთაშორისო ტერორისტთა სიაში.

# საბერძნეთი მსოფლიოში მესამე ადგილზეა

**2000-2004 წლების პერიოდში საბერძნეთმა შეისყიდა 5,3 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღი, რაც მსოფლიოში მესამე მაჩვენებელია ჩინეთის და ინდოეთის შემდეგ.**



მაგალითად, 2004 წელს ამ ათმილიონიანმა ქვეყანამ შეიარაღებისთვის დახარჯა 1,434 მილიარდი დოლარი, მაშინ, როცა მილიარდიანი მოსახლეობის მქონე ორმა სახელმწიფომ — ჩინეთმა და ინდოეთმა — თითოეულმა 2,3 მილიარდი დოლარის შეიარაღება იყიდა.

ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეიარაღების შესყიდვისთვის საბერძნეთმა დახარჯა უფრო მეტი თანხა, ვიდრე დიდმა ბრიტანეთმა (3,4 მილიარდი დოლარი) და თურქეთმა (3,3 მილიარდი დოლარი). იარაღის უდიდეს შემსყიდველთა ათეულში მოხვდნენ ასევე ეგვიპტე, სამხრეთ კორეა, გაერთიანებული არაბული საამიროები, ავსტრალია და პაკისტანი.

ორი ფაქტორით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ ხარჯავს საბერძნეთი ასეთ თანხებს შეიარაღების მიზნით. უწინარეს ყოვლისა, თვით საბერძნეთი აწარმოებს მცირე რაოდენობის შეიარაღებას და, მაგალითად, დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, იგი ვერ იქნება ორიენტირებული საკუთარ წარმოებაზე. გარდა ამისა, ბერძნები ცდილობენ, შეინარჩუნონ სამხედრო პარიტეტი მეზობელ თურქეთთან, რომელსაც ჰყავს დიდი და ჩინებულად აღჭურვილი არმია.

მიმდინარე წელს საბერძნეთმა დადო შეიარაღების შესყიდვის ახალი დიდი კონტრაქტები. მაგალითად, გერმანიამ და საბერძნეთმა აგვისტოში ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის თანახმადაც ათენი მიიღებს „ლეოპარდის“ ტიპის სამასზე მეტ ტანკს, ივლისში კი საბერძნეთის მთავრობა აცხადებდა, რომ შეერთებულ შტატებში აპირებს შეისყიდოს 40 თვითმფრინავი. ამ კონტრაქტის საერთო ღირებულება 1,1 მილიარდ ევროს აღემატება.

# დააკავეს სირიის სპეცსამსახურების გადამდგარი ოფიცერი

**ზუჰეირ მოჰამედ ასადექი საფრანგეთში დააკავეს ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობის საქმის გამოძიების ფარგლებში.**



სირიის საიდუმლო სამსახურების ამ გადამდგარ ოფიცერზე ლიბანის ხელისუფლების მოთხოვნით საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული. მისი დაკითხვა აგრეთვე სურს გაეროში შექმნილ საერთაშორისო კომისიას, რომელიც ასევე იძიებს ამ დანაშაულს.

როგორც ცნობილია, ჰარირის ავტომობილი 2005 წლის თებერვალში ააფეთქეს ბეირუთის ცენტრში. ჰარირისთან ერთად დაიღუპა კიდევ 20 კაცი, დამწვრობებისა და ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა ლიბანის ყოფილი მინისტრი ბასილ ფლეიჰანიც. ჰარირის მკვლელობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია: ლიბანში დაიწყო მოვლენები, რომლებსაც „კედრის რევოლუცია“ უწოდეს. საყოველთაო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში ოპოზიციური პარტიები მოვიდნენ.

მთელ რიგ ლიბანელ და საზღვარგარეთელ პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ რაფიკ ჰარირის მკვლელობაში მონაწილეობდნენ სირიის ძალოვანი უწყებები — იმ დროისთვის ლიბანში ჯერ კიდევ იმყოფებოდა სირიის სამხედრო კონტინგენტი.

# ისრაელი პალესტინელებთან კონტაქტებს წყვეტს

**ასეთი ნაბიჯის გადადგმას თელ-ავივი აპირებს იმის გამო, რომ კვირას სამი ებრაელი მოკლეს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე. „კვირას განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით ჩვენ ვიღებთ ზომებს იმ მიზნით, რომ შემდგომში თავიდან ავიცილოთ ასეთი რამ“, — განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარკ რეგევმა. გარდა ამისა, დროებით შეწყდება კონტაქტები ისრაელის თავდაცვის სამინისტროს, ებრაელ სამხედროებსა და პალესტინის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს შორის, დასძინა დიპლომატმა.**

როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, ისრაელის თავდაცვის სამინისტროს წყაროების დამოწმებით, თელ-ავივს დაგეგმილი აქვს განალაგოს ჯარები მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ქალაქების ირგვლივ, აგრეთვე, აუკრძალოს პალესტინელებს გადაადგილება საკუთარი ავტომობილებით და მოითხოვოს, რომ მათ მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლონ.

კვირას განხორციელებული თავდასხმისთვის პასუხისმგებლობა იკისრეს „ალ-აქსის მოწამეთა ბრიგადებმა“.

## მოკლედ

**„ფრინველის გრიპის“ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით იტალიაში შემოაქვთ სავალდებულო ეტიკეტი ფრინველის ხორცზე. საქმე ეხება 600 მილიონ მარკირებას, როგორც მთლიანი ფრინველის ხორცზე, ისე მის ცალკეულ ნაწილებზე, მაგალითად — ბარკლებზე. ეტიკეტმა მყიდველი უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ პროდუქტი, რომლის შესყიდვასაც აპირებს, იტალიაშია წარმოებული.**



* * *

**თურქეთში მოხდა 5,7 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა. მიწისქვეშა ბიძგები თბილისის დროით 9 საათსა და 45 წუთისთვის იგრძნობოდა დასავლეთ თურქეთის იზმირის და ჩანაკალის პროვინციებში. წინასწარი მონაცემებით, მიწისძვრას მსხვერპლი არ მოჰყოლია.**



* * *

**იაპონიის პრემიერ-მინისტრი კვლავ ეწვია იასუკუნის ტაძარს. იგი იქ მივიდა სასამსახურო ავტომობილით და თავისი მდივნის თანხლებით, რამაც ხაზი გაუსვა ვიზიტის ოფიციალურ ხასიათს. კოიძუმიმ ქედი მოიხარა ტაძრის მთავარი შენობის წინ, სადაც ინახება „იმპერატორისთვის დაღუპული გმირი მეომრების“ სიები. მათ შორის არის 14 სამხედრო დამნაშავე, რომლებიც საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლა.**



* * *

**ნალჩიკში მომხდარმა მოვლენებმა ეუთო დაარწმუნა ჩეჩნეთში არჩევნების დროს მეთვალყურეთა გაგზავნის აუცილებლობაში. ეს განაცხადა ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი რუპელმა. არჩევნების დროს უშიშროება დაცული უნდა იყოს ჩეჩნეთის მთელს ტერიტორიაზე, დასძინა მან.**




* * *

**შეერთებულ შტატებში სკოლის ავტობუსი შეეჯახა მისაბმელიან მანქანას. ავარიის შედეგად დაიღუპა 5 და დაშავდა 29 კაცი. დაღუპულთა შორის ოთხი მოზრდილი და ერთი 11 წლის გოგონაა. დაშავებულები საავადმყოფოებში მიიყვანეს. რამდენიმე ადამიანის მდგომარეობა მძიმეა.**



* * *

**ეგრეთ წოდებული ვოლემის ფიჭვის ნიმუშები 1,2 ათას დოლარად იყიდება „სოთბის“ აუქციონზე. ეს ხეები დედამიწაზე ხარობდნენ 200 მილიონი წლის წინათ, როცა ჩვენს პლანეტაზე დინოზავრები ბატონობდნენ. ხის სიმაღლე 120 ფუტს აღწევს, მისი ღეროს სისქე კი — 3 ფუტს. სპეციალისტებს სურთ, რომ ასეთი გზით შეუწყონ ხელი ამ ჯიშის გადარჩენას.**



ისტორია

# თუ ბაგიროვი ირანის აზერბაიჯანს მიიღებდა, საქართველოსთვის საინგილო უნდა დაეთმო

## ირანის 1945-47 წლების კრიზისის უცნობი ფურცლები

**ირანის 1945-47 წლების იმ ცნობილი კრიზისის შესახებ საბჭოთა წყაროების კვლევისას, რომელმაც, როგორც ცნობილია, საბოლოო ჯამში წარმოშვა ტრუმენის ადმინისტრაციის თავშეკავების პოლიტიკა, გაოცებას ვერ მალავ საბჭოთა საგარეო-პოლიტიკური კურსის შინაგანი წინააღმდეგობრობის გამო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერთდროულად რამდენიმე მიზანი ჰქონდათ ჩაფიქრებული. ამასთან, არაიშვიათად, ერთმანეთის საზიანოდ.**

საქართველოს პრეზიდენტის არქივში ჩემს მიერ მოკვლეული დოკუმენტები საშუალებას გვაძლევს გავაშუქოთ ირანის კრიზისის ერთი ნაკლებად ცნობილი ასპექტი, შევისწავლოთ ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა იმპერიული პოლიტიკის კიდევ ერთი კომპონენტი. ეს მასალები თვალნათლივ ადასტურებს, რომ სსრკ ხელმძღვანელობის შიგნით არსებობდა სერიოზული წინააღმდეგობანი და უთანხმოებანი ახლო აღმოსავლეთში საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებთან დაკავშირებით.



როგორც ცნობილია, ფერეიდანში, ირანის ისპაჰანის პროვინციის მთიან პლატოზე, რომელიც განლაგებულია ისპაჰანიდან 60 კილომეტრის დაშორებით, ცხოვრობდა დაახლოებით 20 ათასი ქართველი, XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასის თავდასხმების დროს საქართველოდან აყრილ ტყვეთა შთამომავალნი. ძალდატანებითი ისლამიზაციის მიუხედავად, ფერეიდნელმა ქართველებმა შეინარჩუნეს მშობლიური ენა და წეს-ჩვეულებანი.

გასაოცარი როდია, რომ ფერეიდანის ქართული მოსახლეობა უმალვე მოხვდა საბჭოთა ხელმძღვანელობის მხედველობის არეში. იგი ირანის ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეგავლენის პოტენციურ წერტილებს ეძებდა და ცდილობდა ფერეიდნელები თავისი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით გამოეყენებინა, კერძოდ, დიდ ბრიტანეთთან თავისი ინტერესების სავარაუდო შეჯახების წინ.

შემთხვევით როდია, რომ ამ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის არქივში ჩემს მიერ აღმოჩენილი პირველი დოკუმენტია 1942 წლის 25 ივლისით დათარიღებული ქართული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურისა და ქართულ ენაზე პატეფონის ფირფიტების, აგრეთვე ქართული ეროვნული საკრავების ნუსხა, რომლებიც „ფერეიდანში ქართულ მოსახლეობის მხატვრული მომსახურებისათვის“ იყო გათვალისწინებული. ყველაფერი ეს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა ირანში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სმირნოვის თხოვნით გადაუგზავნა მას თეირანში.

ამ დოკუმენტის შედგენა დროის მიხედვით სამხრეთის ფრონტზე ვერმახტის წარმატებულ შეტევას ემთხვევა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჯერ კიდევ 1941 წლის სექტემბერში ინგლისელებმა წამოაყენეს სამხრეთ კავკასიაში ბრიტანული ჯარების დისლოცირების წინადადება, რათა თავიდან აეცილებინათ გერმანელთა მიერ სტრატეგიული ბაქოს ნავთობის შესაძლო მიტაცება, სსრ კავშირის მისწრაფება, კონტაქტი დაემყარებინათ ფერეიდნელ ქართველებთან, სტალინის საპასუხო რეაქციად შეიძლება ჩაითვალოს.

ახლახან მიკვლეული წყაროებიდან ცნობილი ხდება, რომ საბჭოთა სპეცსამსახურების ხელმძღვანელობისგან განსხვავებით, ირანში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სმირნოვი ეწინააღმდეგებოდა „ქურთული პრობლემის ირგვლივ თამაშს“ — ცენტრისათვის გაგზავნილ რეკომენდაციებში იგი რჩევას იძლევა, უპირატესი ყურადღება დაეთმოთ სამხრეთაზერბაიჯანელებისა და ფერეიდნელებისათვის.

მოცემულ პერიოდში საბჭოთა დიპლომატიის გააქტიურება იმითაც აიხსნება, რომ 1942 წლის 29 იანვარს თეირანში სსრ კავშირსა, ინგლისსა და ირანს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომლის შესაბამისადაც გარანტირებულ იქნა ირანის ტერიტორიული მთლიანობა, შაჰის ხელისუფლებამ თავისი დასავლური ორიენტაცია გააძლიერა. სტალინგრადთან გამარჯვების შემდეგ, რაც შემობრუნების პუნქტად იქცა დიდ სამამულო ომში, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის ისტორიულმა კონფლიქტმა ირანში კვლავ წინა პლანზე წამოიწია.

სწორედ მსგავს გეოპოლიტიკურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ფერეიდნელ ქართველთა საკითხი. არქივში შემონახულია სსრ კავშირის ვიცე-კონსულის აშუროვის მოხსენება, რომელიც მას 1943 წლის ივნისში შეუდგენია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ვლადიმერ დეკანოზოვის სახელზე.

აშუროვის მოხსენებას, 1944 წლის 26 მარტს გადაეგზავნა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს. მასში დაწვრილებით არის აღწერილი ფერეიდანში ქართველთა გადასახლების ისტორია, მათი დასახლების გეოგრაფია, ქართული სოფლების ეკონომიკა და გლეხთა ყოფა-ცხოვრება, წარმოდგენილია, აგრეთვე, ინფორმაცია ფერეიდნის ქართული მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილების შესახებ. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულია ფერეიდანის მოსახლეობის ძირითადი მასის კულტურული და პოლიტიკური ჩამორჩენილობა, დოკუმენტში ყურადღება ეთმობა საგარეო-პოლიტიკური მიზნებით მათი გამოყენების პოტენციურ შესაძლებლობას, ისტორიული სამშობლოს მიმართ მათთვის დამახასიათებელ სიმპათიებს, აგრეთვე მტრობას ირანის ცენტრალური ხელისუფლებისადმი, რომლისაც არასდროს უცდია დაეცვა ისინი ჩინოვნიკთა ძალმომრეობისგან. გარდა ამისა (და ეს, ჩემი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია), მითითებულია, რომ მათ მეზობლად მცხოვრები ლურებისა და ბახთიარების ტომები ასევე მიდრეკილი არიან მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებისადმი.

ეჭვს არ იწვევს, რომ ფერეიდნელებთან დაკავშირებით იყო ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც ირანის სხვა ეროვნულ უმცირესობათა (აზერბაიჯანელები, ქურთები, სომხები) მიმართ, რომელთა გამოყენებასაც მოსკოვი აპირებდა ირანის ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა მაქსიმალურად მომგებიანი პირობებით დაედო ეკონომიკური შეთანხმებანი.

**გიორგი მამულია.**

**(გაგრძელება იქნება)**

სახალხო დღესასწაულები

# ფიროსმანობა



**15 ოქტომბერს, ნიკო ფიროსმანის მშობლიურ სოფელ მირზაანში უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. შემოდგომის მზით გამთბარი არემარე სასიამოვნო განწყობილებას ქმნიდა.**

ქართული ხალხური სიმღერები, შაირ-კაფიები, ცეკვები, მთისა და ბარის მკვიდრთა ტრადიციები შთამბეჭდავად წარმოადგინეს ზემოქედელმა თუ ქვემოქედელმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა. სოფლის გამგებლები თამაზ ხუციანიძე და ლადო ჩარბოდაშვილი გულუხვი მასპინძლებიც გამოდგნენ.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ თელაველები, ყვარლელები, გურჯაანელები, დედოფლისწყაროელები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო თბილისის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „შავნაბადას“ და საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული „ჩვენებურების“ გამოსვლები ძველებურ ქართულ სიმღერებს რომ აგუგუნებდნენ.

სახალხო დღესასწაულს ხიბლი შემატა დედოფლისწყაროს ბავშვთა ხელოვნების სტუდიელთა (ხელმძღვანელი ნონა ჯიბლაშვილი, პედაგოგი მაკა ბენაშვილი) მიერ წარმოდგენილმა მუსიკალურმა კომპოზიციამ „ფიროსმანი“, რომელშიც მოწონება დაიმსახურეს გიორგი ცხვედიაშვილმა — ნიკალა და მერი იაკობიშვილმა — მარგარიტა.

გრან-პრის მფლობელმა დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ხორნაბუჯმა“ ცეცხლოვანი ცეკვებით გააოცა ფრანგი სტუმრები, აღფრთოვანებულები მასპინძლებს ცეკვებს ამეორებინებდნენ.

გაიმართა სპორტული ღონისძიებები.

ფიროსმანობა დამსწრეთ მიულოცა და მხატვრის ცხოვრებაზე მოკლედ ისაუბრა რაიონის გამგებელმა სოსო ხაჩიაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ვაჟა აზარაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილი, ვაჟა ფშაველას პრემიის ლაურეატი გიორგი გიგაური, ყველა თაობის საყვარელი მწერალი რეზო მიშველაძე, პოეტი მარინა ცხვედიაშვილი, ფიროსმანის მუზეუმის დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი.

უცხოელი სტუმრები დაინტერესდნენ როგორც ფიროსმანის ორიგინალური ნახატებით, ასევე საგანგებოდ გამოფენილი ხალხური რეწვის ნიმუშებით.

სახალხო დღესასწაული გვიანობამდე გაგრძელდა და ფეიერვერკებით დასრულდა.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

# რუსთავის ცა ფეიერვერკებმა გააჩირაღდნეს

**წლევანდელი რუსთავქალაქობა შაბათს დაიწყო და კვირას დასრულდა. ეს ორდღიანი ზეიმი მართლაც გამორჩეული იყო იმითაც, რომ ბოლო 10-12 წლის მანძილზე აქ პირველად დაირგო ასე მასობრივად მცენარეები. მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ნადაშვილის ხელმძღვანელობით კლდიაშვილის ქუჩის მიმდებარე გაპარტახებულ სკვერში 1000 ძირი ფიჭვის ხე დაირგო და ამ საშვილიშვილო საქმეში მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად ქალაქის აქტივი, პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილი და თბილისიდან ჩამოსული სტუმრები მონაწილეობდნენ.**

დღესასწაულს წინ უსწრებდა ქუჩების განახლება, სკვერების, მოედნების კეთილმოწყობა. რამდენიმე ქუჩაზე სულ ახალი ასფალტი დაიგო, გალამაზდა შენობათა ფასადები, რისთვისაც მერის მოვალეობის შემსრულებელმა დამატებითი სახსრებიც გამონახა.

რუსთავქალაქობა კი დილის 9 საათზე ერთდროულად რუსთავის რამდენიმე უბანში დაიწყო. მოსწავლე სპორტსმენთა თუ ბავშვების სახალისო შეჯიბრებებით, რაშიც ათასობით მოზარდი მონაწილეობდა. უფრო გვიან კი მოზრდილმა სპორტსმენებმაც იჯომარდეს, რუსთავის ტბაზე პირველად გაიმართა ნიჩბოსანთა ასპარეზობა. ქალაქის მთავრობამ სპორტსაც მიხედა, ახლდება ჟიული შარტავას დროს აშენებული მინი-სპორტული მოედნები, რომლებიც უპატრონოდ იყო მიგდებული. მრავალი ახალი სტადიონი შეემატა ქალაქს, თვით პროფესიულ სპორტსაც გამოუჩნდა პატრონი.

რუსთაველებს განსაკუთრებით მოეწონათ ახალი შადრევანი, იგი მარცხენა მტკვრის სანაპიროს ახალისებს და ალამაზებს. აქვე მოეწყო რუსთაველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. დიდხანს გრძელდებოდა თინეიჯერების კონცერტი, ხოლო საღამოს 6 საათზე რუსთავის თეატრის ეზოში თბილისელთა და ადგილობრივ თვითშემოქმედთა მონაწილეობით გაიმართა რუსთავქალაქობის დამაგვირგვინებელი კონცერტი. საღამოს რუსთავის ცა ფეიერვერკებმა გააჩირაღდნეს.

**გივი ჯახუა,**
**„სრ“ კორ.**

# „გარდაბნობა-2005“

**16 ოქტომბერს ქ. გარდაბანში ჩატარდა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „გარდაბნობა“. ქალაქში შესასვლელთან აგებულ ობელისკთან დღის 12 საათზე ზარების რეკამ ამცნო იქ მოსულ მრავალრიცხოვან მოსახლეობას ზეიმის დაწყება.**



სარაიონო კულტურის სახლის სახალხო ანსამბლ „ბეთანიის“ მიერ მრავალჟამიერის შესრულებით დაიწყო მხატვრული ღონისძიება. შეკრებილ საზოგადოებას და მოწვეულ სტუმრებს მიესალმნენ და დღესასწაული მიულოცეს გარდაბანში მცხოვრები ქართველი, აზერბაიჯანელი და უკრაინელი მოსახლეობის უფროსი თაობის წარმომადგენლებმა. დავით აღმაშენებლის ძეგლთან სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სხვადასხვა ჟანრის მხატვრული კოლექტივები. აქვე მოზეიმე ხალხს მიესალმა ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი. აქვე ჯანმრთელობის, განათლების, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს: დოდო კაჭახიძეს, თამარ აფციაურს, ქაზიმ ბადალოვს და ალექსანდრე ოსიპოვს საპატიო მოქალაქის მედლები და მოწმობები გადასცა რაიონის გამგებელმა დათო მაღრაძემ.

ქალაქის ცენტრში ახლად გახსნილ კულტურისა და დასვენების პარკში უფასოდ მუშაობდა ატრაქციონები, ამფითეატრზე მხატვრული კოლექტივები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ჟანრში. პარკის ტერიტორიაზე ყველა საკრებულოს წამოღებული ჰქონდა სოფლის ნობათი და უმასპინძლეს სტუმრებს და იქ მობრძანებულ ხალხს.

**უჩა ხარძიანი,**
**გარდაბნის რაიონის საპატიო მოქალაქე.**

ინფორმაცია

## საშემოდგომო გაწვევა დაიწყო

**საქართველოს** მთელ ტერიტორიაზე გუშინ სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა დაიწყო. შესაბამის ბრძანებულებას პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა.

ბრძანებულების თანახმად, საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 1 920 კაცით განისაზღვრა. აქედან 920 ახალწვეული შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ გასამხედროებულ ქვედანაყოფში, ხოლო 1000 კაცი შსს-ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გადანაწილდება.

გარდა ამისა, საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად 300 ახალგაზრდის გაწვევაა გათვალისწინებული.

**ინტერპრესნიუსი**



## ავტობუსები გვემატება

**თბილისს** ხვალიდან ახალი ჰოლანდიური ავტობუსების მორიგი პარტია შეემატება.

როგორც „მედიანიუსს“ მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა ზურაბ ჩიკვილაძემ განუცხადა, თბილისში 20 ჰოლანდიური ავტობუსი შემოვა. წლის ბოლოსთვის დედაქალაქში კიდევ 100 ახალი ავტობუსს შემოიყვანენ ჰოლანდიიდან და უკრაინიდან. შესაბამისად, ახალი წლიდან თბილისის ქუჩებში 500 ახალი ავტობუსი იმოძრავებს. ისინი დედაქალაქის მასშტაბით 85 მარშრუტს შეასრულებენ.

500 ავტობუსიდან 120 რუსული წარმოებისაა. ისინი ქალაქში 3-4 წლის წინათ შემოვიდა. დანარჩენი 380-ის შესაძენად კი 5 მილიონ 300 ათასი ევროს ოდენობით კრედიტი ევრობანკმა გამოყო, რასაც დაემატა გრანტი 2 მილიონი ევროს ოდენობით. თუმცა, როგორც ჩიკვილაძე აღნიშნავს, ეს თანხა არა მხოლოდ ავტობუსების შეძენას, არამედ დედაქალაქში ახალი სატრანსპორტო სქემების მოწყობას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვის-ცენტრების გამართვასა და სხვა სამუშაოებს მოხმარდება.

ორი ახალი სერვის-ცენტრის გამართვა 2006 წლის იანვრისთვის გლდანსა და ვაშლიჯვარში იგეგმება.

## საპროტესტო აქცია

**შალვა დადიანის** ქუჩის №22-ში მცხოვრებმა მოსახლეობამ დღეს საპროტესტო აქცია გამართა.

საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლები ქალაქის მთავრობისა და მერიისგან უყურადღებობას უჩივიან და აცხადებენ, რომ მათი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია და ყურადღებას არავინ აქცევს.

როგორც მოსახლეობა აცხადებს, 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად სახლი სერიოზულად დაზიანდა. გასულ წელს სახლის ერთ-ერთი აივანი ჩამოინგრა, თუმცა დღემდე იქ მდგომარეობა არ შეცვლილა.

მოსახლეობის განცხადებით, სახლი ისტორიულ შენობას წარმოადგენს, ამიტომ მისი შენარჩუნება სურთ.

როგორც „ინტრეპრესნიუსს“ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელმა კახა გურულმა განუცხადა, სახლი ავარიულობის ხარისხით მესამე კატეგორიას განეკუთვნება და მისი გამაგრება შეუძლებელია.

გამგებლის თქმით, მოსახლეობას თვითონ ჰყავდა ინვესტორი მოძიებული, თუმცა რა შეიცვალა, მისთვის უცნობია.

## ფრთხილად, ქოქოლაძე ქოქოლას დაგაყრით!..

**ბათუმის** უნივერმაღის 30-მდე თანამშრომელი უკვე მესამე დღეა საპროტესტო აქციას მართავს.

ისინი უნივერმაღის გაყიდვას აპროტესტებენ და შენობის დატოვებაზე უარს აცხადებენ. უკვე ორი დღეა შენობის ახალმა მეპატრონემ ყოფილ თანამშრომლებს ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდება შეუწყვიტა.

ბათუმის ცენტრალური უნივერმაღი 4 თვის წინ გაიყიდა და იგი ბიზნესმენმა ამირან ქოქოლაძემ იყიდა. მოვაჭრეები უნივერმაღის შენობაში დარჩენას დეკემბრამდე ითხოვენ და შეთავაზებულ ალტერნატიულ ადგილას, სავაჭრო ცენტრ „ხიხანში“ გადასვლას არ აპირებენ.

## თბილისის აეროპორტში ძებნილი დააკავეს



**თბილისის** აეროპორტში, რეისზე „თბილისი-მოსკოვი“, სასაზღვრო საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

აღნიშნული პიროვნება შემდგომი რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

**მედიანიუსი**

რეგიონებში ფრთხილობენ

# უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ყოველდღიურ „სიურპრიზად“ იქცა

### ახლა დედებსა და ბავშვებსაც მოსდგნენ?

**საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღალოს ბაზრობის ხელმძღვანელები თურმე დიდი ოდენობით გადასახადების გადახდას არიდებდნენ თავს, რაც ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად დაადგინეს. მომხდართან დაკავშირებით სამმართველოში მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.**

ამავე რეგიონში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა გამოავლინეს თანხების მითვისებისა და გაფლანგვის ოთხი ფაქტიც. წინასწარი გამოძიება დაწყებულია შპს „გაერთიანებული ამბოლატორიული პოლიკლინიკური გაერთიანება მედიას“ ხელმძღვანელ პირთა მიმართ თანამშრომლების კუთვნილი თახების მითვისების გამო, ხოლო შპს „სოფლტექნიკის“ გაკოტრების მმართველის თამაზ გურგენიშვილის მიმართ — საწარმოს კუთვნილი მატერიალური ფასეულობების კანონდარღვევით მითვისების ფაქტთან დაკავშირებით. ასევე წინასწარი გამოძიების პროცესშია საქმეები დაუდგენელი პირების მიერ თენგიზ დარჩიაშვილის კუთვნილი 140 ათასი ლარის მითვისებისა და, მეორე შემთხვევაში, — შპს „დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ცენტრში“ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასთან დაკავშირებით.

### ვერ გაუგიათ, რომ კონტრაბანდული სიგარეტი ორჯერ უფრო მავნეა!

**სამეგრელოს რეგიონში ფინანსური პოლიციის თანამშრომლები კვლავაც დიდი ოდენობით აკავებენ აფხაზეთის ტერიტორიიდან შემოტანილ არამარკირებულ თათმბაქოს ნაწარმს. მიუხედავად ამ კუთხით კანონმდებლობის გამკაცრებისა, მავანნი მაინც არ იშლიან თავისას, რისთვისაც ისჯებიან კიდეც. ბოლო დღეებში პოლიციელებმა მრავალი კანონდამრღვევი გამოავლინეს.**

კერძოდ, კანდიკო გაბედავას აფხაზეთიდან ენგურის ხიდით 2650 კოლოფი უცხოური წარმოების სიგარეტი გადმოჰქონდა. გარდა ამისა, სამეგრელოს სამმართველოს თანამშრომლებმა მდინარე ენგურის ნაპირას დაახლოებით 3,5 ათასი კოლოფი „უპატრონო“ უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს და ახლა მეპატრონის ვინაობის გარკვევას ცდილობენ.

ასეთივე ვითარებაა შიდა ქართლის რეგიონშიც, სადაც უაქციზო თამბაქოს ნაწარმი, მოგეხსენებათ, ცხინვალიდან შემოაქვთ. ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა ლვთისო ფერაძე და გიორგი წინამძღვრიშვილი მაშინ დააკავეს, როდესაც ცხინვალიდან 215 კოლოფი უაქციო სიგარეტი გადმოჰქონდათ.

სამივე ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში გამოძიება „მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის“ მუხლით დაიწყო.

### ნებართვაა საჭირო, ნებართვა!

**თვალშისაცემად გაიზარდა ბოლო დროს უკანონო სამეწარმეო საქმიანობა და, შესაბამისად, მისი გამოაშკარავების მაჩვენებელიც. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, ახლახან მარტო აჭარაში ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ადგილობრივი სამმართველოს თანამშრომლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შვიდი ფაქტი გამოავლინეს.**

კერძოდ, მხილებულნი არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „ჯანეტას“, „აბაშიძე და ნაყოფიას“, „ორიონის“, „სალხინო 21“-ს, „ და „ირინას“ ხელმძღვანელი პირები, აგრეთვე ინდივიდუალური მეწარმე ჯემალ ქათამაძე. საგულისხმოა, რომ ყველა „ბიზნესმენს“ ერთი საერთო ნიშანი აქვს: არცერთი მათგანი აჭარის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული არ არის, ხოლო მათი კუთვნილი ავტოგასამართი სადგურები ულიცენზიოდ მუშაობდნენ. ყოველივე ეს, ცხადია, გადასახადების დამალვასთანაა დაკავშირებული, რის გამოც ბიუჯეტი მნიშვნელოვნად დაზარალდა. შვიდივე ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურმა პოლიციამ წინასწარი გამოძიება დაიწყო.

უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში აჭარელ საქმოსნებს არც კახეთისა და სამეგრელოს „კოლეგები“ ჩამორჩნენ, თუმცა აჭარელთა „პროფილი“ სხვაა — მათ უფრო მეტად მედიკამენტებით უკანონო ვაჭრობა ხელეწიფებათ. ამ სახეობის დანაშაულში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ამხილეს შპს „ნინო ჩანტლაძე“ და ინდივიდუალური მეწარმე მაია მაღლაკელიძე, რომლებიც ბიზნესს უნებართვოდ ეწეოდნენ, რის გამოც ფინანსურ პოლიციაში წინასწარი გამოძიებაა დაწყებული.

**ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**

ყოფა

# გლდანელები კისრის მოტეხვას ამჯერადაც გადაურჩნენ

**რამდენიმე დღის წინათ გლდანში ერთი შემთხვევის მომსწრე გავხდი. პირველი და მეორე მიკრორაიონის დამაკავშირებელი ხიდის კიბეებთან (მეორე მიკრორაიონის მხარეს) ხალხის ჩოჩქოლი შევნიშნე. ისინი მოხუც ქალბატონს შემოხვეოდნენ და კიდურებს უსინჯავდნენ, თან კმაყოფილი სახეებით ამბობდნენ — ამჯერადაც გადავრჩითო. თუმცა, რომელ გადარჩენაზე იყო საუბარი, როცა საცოდავ ქალს მუხლები და ხელები დასისხლიანებული ჰქონდა.**



კითხვაზე რა მოხდა მეთქი, მათ ხიდის საფეხურებზე მიმითითეს, რომელიც კიბეს კი არა, ასასვლელ აღმართს უფრო ჰგავს. როგორც იქ შეკრებილმა ხალხმა განმიმარტა, უკვე რამდენიმე წელია, რაც ასეთი მდგომარეობაა. ახლა კიდევ რა უჭირს, ინციდენტი იშვიათად ხდება, მაგრამ ზამთარში ასეთ სურათს ყოველდღე ნახავთო.

— მე აქვე მდებარე ოცდამეჩვიდმეტე კორპუსის მაცხოვრებელი ვარ, — მეუბნება ხანში შესული ქალბატონი, — ჩემი სახლის ფანჯრიდან ბევრჯერ დამინახავს ამ კიბიდან დაგორებული და გამწარებული ადამიანი, ამიტომ ძალიან ხშირადაც დამირეკავს გამგეობაში და სიტუაცია ამიხსნია, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამით დღემდე არავინ დაინტერესებულა. ხელისუფლებას, როგორც ჩანს, მარტო სტადიონების გაკეთება იზიდავს, მაგრამ თუ დიდს და პატარას ამ კიბით კისერს მოგვატეხინებენ, რომელი სპორტული მოედანი გვიშველის? — მეკითხება შეშფოთებული.

ამ საკითხზე გლდანის რაიონის გამგებლის მოადგილეს ვალერი ნინიკელაშვილს დავუკავშირდით. მისი განმარტებით, წელს ამისათვის ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებული არ არის.

— გამოდის, რომ ზამთრისთვის ეს პრობლემა კიდევ ვერ გადაიჭრება?

— ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, — მეუბნება ბატონი ვალერი, — თუ ბიუჯეტში ამისთვის თანხა არ გამოიყო, ცარიელი ხელებით ხომ ვერ გავაკეთებთ. მომავალი წლიდან ამას აუცილებლად გავითვალისწინებთ, თუმცა სარემონტო სამუშაოები გაზაფხულიდან დაიწყება, თუ როდის ვერ გეტყვით, რადგან ჯერ გეგმა უნდა შევიმუშავოთ, შემდეგ ტენდერი გამოვაცხადოთ, ამას კი დრო სჭირდება.

ახლა იქ სანიაღვრე არხები და მიწისქვეშა კომუნიკაციები მოვაწესრიგეთ, 2006 წლიდან კი ხიდის გარდა იქვე არსებული „ხეივნის ქუჩასაც“ მივხედავთ. ასევე გავაკეთებთ სკვერს, სადაც დაიდგმება სკამები, საბავშვო საქანელები და კარუსელები. მთელს ქუჩაზე იქნება ღამის განათება და დაიგება ასფალტი...

ასე რომ, გლდანელებს ერთი ხიფათიანი ზამთრის გადატანაც მოუწევთ.

**ლელა მანაველიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა

სპორტი

7

№ 241. სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 2005 წელი.

კალათბურთი

# ნეტავ გვეზეიმებოდეს



**დღეს იწყება კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატი. ბუნებრივია, ყოველივე ახალს განწყობილებაც ამაღლებული უნდა ახლდეს თან, თუმცა ამჯერად საზეიმოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე — ეროვნული ნაკრების ევროპის „ბ“ ჯგუფში ჩარჩენა და გამორჩეულ ახალგაზრდა მოთამაშეთა მასობრივი მიგრაცია ოპტიმიზმის ნაკლებ საფუძველს გვაძლევს.**

ასეა თუ ისე, სტარტზეა სეზონის მთავარი საშინაო ტურნირი. გთავაზობთ I წრის კალენდარს:

**18.10.05. — სამშაბათი**
1. სსუ — მაკაბი — 12.00
ჩემპიონატის გახსნა — 13.30
2. სტუ — თსუ-ნიკორა — 14.15
3. ავიამშენი — დინამო — 16.00
4. „აზოტი“ — ქუთაისი — 15.00

**24.10.05. — ორშაბათი**
5. სტუ — დინამო — 12.00
6. თსუ-ნიკორა — აზოტი — 14.00
7. ქუთაისი — სსუ — 16.00
8. ავიამშენი — მაკაბი — 18.00

**28.10.05. — პარასკევი**
9. სსუ — სტუ — 12.00
10. დინამო — თსუ-ნიკორა — 14.00
11. მაკაბი — ქუთაისი — 16.00
12. აზოტი — ავიამშენი — 12.00

**2.11.05. — ოთხშაბათი**
13. სსუ — ავიამშენი — 12.00
14. მაკაბი — თსუ-ნიკორა — 14.00
15. ქუთაისი — სტუ — 16.00
16. აზოტი — დინამო — 12.00

**7.11.05. — ორშაბათი**
17. მაკაბი — სტუ — 12.00
18. თსუ-ნიკორა — ავიამშენი — 14.00
19. დინამო — ქუთაისი — 16.00
20. აზოტი — სსუ — 12.00

**11.11.05. — პარასკევი**
21. სსუ — დინამო — 12.00

22. სტუ — ავიამშენი — 14.00
23. ქუთაისი — თსუ-ნიკორა — 16.00
24. მაკაბი — აზოტი — 18.00

**17.11.05. — ხუთშაბათი**
25. თსუ-ნიკორა — სსუ — 12.00
26. ავიამშენი — ქუთაისი — 14.00
27. აზოტი — სტუ — 12.00

**27.11.05. — კვირა**
28. დინამო — მაკაბი — 18.00

***შენიშვნა:** ქუთაისის გუნდის თამაშები, რომელიც დანიშნულია ქუთაისში, ჩატარდება მოწინააღმდეგის მოედანზე, სანამ ქუთაისის საკალათბურთო დარბაზში არ დამონტაჟდება ელექტროტაბლო.*

ფეხბურთი

# შინ და გარეთ

**IX ტურის შემდეგ ფეხბურთელთა XVII ეროვნულ ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს. ესაა თბილისის „ლოკომოტივი“, რომელმაც უიმედო აუტსაიდერს „თბილისს“ 2:0 სძლია (გოლები გიორგი და როინ ონიანებმა გაიტანეს).**



მესამე გოლი ბოლნისელთა კარში.

ტურის ცენტრალური მატჩი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის — თბილისის „დინამოს“ თავკაცის კახი ცხადაძისთვის ყოფნა-არყოფნის ტოლფასი გახლდათ. მისმა შეგირდებმა თავი არ დაზოგეს, პირწმინდად დაჯაბნეს აწ უკვე ყოფილი ლიდერი ბოლნისის „სიონი“ — 3:0 (იაშვილი, მეგრელაძე, მელქაძე) და მწვრთნელს პოზიციები გაუმყარეს.

კიდევ უფრო მძიმე დარტყმა მიიღო სეზონის აღმოჩენამ — „ბორჯომი“ მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან“ შერცხვა — 0:4 (ფეიქრიშვილი, კობიაშვილი, მარცვალაძე, მანწკავა) და სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა.

**დანარჩენი შედეგები:** „კოლხეთი“ — „ამერი“ 0:1, „ზესტაფონი“ — „ტორპედო“ 1:1, „კახეთი“ — „დილა“ 3:0, „ცხინვალი“ — „სპარტაკი“ 2:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ლოკომოტივი“ — 23, „სიონი“ — 22, „ბორჯომი“ — 21, „ვიტ ჯორჯია“ — 19, „დინამო“, „ამერი“ — 16-16, „ზესტაფონი“, „ბათუმი“ — 13-13, „დილა“, „კოლხეთი“, „კახეთი“ — 12-12, „ცხინვალი“ — 9, „ტორპედო“ — 8, „სოხუმი“ — 7, „სპარტაკი“ — 4, „თბილისი“ — 0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ამერი“ — „ბორჯომი“, „კოლხეთი“ — „სოხუმი“, „დილა“ — „თბილისი“, „ბათუმი“ — „კახეთი“ (22 ოქტომბერი), „სპარტაკი“ — „ვიტ ჯორჯია“, „ტორპედო“ — „დინამო“, „სიონი“, „ცხინვალი“, „ლოკომოტივი“, „ზესტაფონი“.

* * *

**იტალია. VII ტური.** „იუვენტუსი“ — „მესინა“ 1:0, „კალიარი“ — „მილანი“ 0:2, „ინტერი“ — „ლივორნო“ 5:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ — 21, „მილანი“ — 16, „ინტერი“ — 15 ქულა.

**ბომბარდირი:** ბონაცოლი („სამპდორია“) — 7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლეჩე“ — „იუვენტუსი“, „მილანი“ — „პალერმო“, „უდინეზე“ — „ინტერი“.

**ესპანეთი. VII ტური.** „ატლეტიკო“ — „რეალი“ 0:3, „ოსასუნა“ — „სელტა“ 2:0, „ბეტისი“ — „ხეტაფე“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“, „ოსასუნა“ — 15-15, „ხეტაფე“ — 14 ქულა.

**ბომბარდირები:** ეტოო („ბარსელონა“), რონალდო („რეალი“) — 7-7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „რეალი“ — „ვალენსია“, „ბარსელონა“ — „ოსასუნა“, „ხეტაფე“ — „სარაგოსა“.

**ინგლისი. IX ტური.** „ჩელსი“ — „ბოლტონი“ 5:1, „ტოტენჰემი“ — „ევერტონი“ 2:0, „სანდერლენდი“ — „მანჩესტერი“ 1:3, „სიტი“ — „ვესტჰემი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“ — 27, „ტოტენჰემი“ — 18, „მანჩესტერი“, „სიტი“ — 17-17 ქულა.

**ბომბარდირი:** ვან ნისტელროი („მანჩესტერი“) — 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ევერტონი“ — „ჩელსი“, „მანჩესტერი“ — „ტოტენჰემი“, „არსენალი“ — „სიტი“.

**გერმანია. IX ტური.** „ვერდერი“ — „ნიურნბერგი“ 6:2, „შალკე“ — „ბაიერნი“ 1:1, „ჰამბურგი“ — „ვოლფსბურგი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვერდერი“, „ბაიერნი“ — 22-22, „ჰამბურგი“ — 20 ქულა.

**ბომბარდირები:** კლოზე („ვერდერი“), ალტინტოპი („კაიზერი“) — 10-10 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჰანოვერი“ — „ვერდერი“, „ბაიერნი“ — „დუისბურგი“, „ბორუსია“ — „ჰამბურგი“.

**საფრანგეთი. XI ტური.** „ლიონი“ — „აიაჩო“ 3:2, „მარსელი“ — „პსჟ“ 1:0, „ბორდო“ — „სოშო“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 27, „პსჟ“, „ბორდო“ — 20-20 ქულა.

**ბომბარდირი:** პაულეტა („პსჟ“) — 7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „მეცი“ — „ლიონი“, „პსჟ“ — „ნანსი“, „ტულუზა“ — „ბორდო“.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო**

რაგბი

# „ლოკომოტივი“- სჩელი სვლით

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მეორე წრე დაიწყო. მოგეხსენებათ, უმაღლეს ლიგაში ხუთი გუნდი იბრძვის და ხუთივე — დედაქალაქიდან.**

განვლილმა ტურებმა გვიჩვენა, რომ კლუბების შანსები მეტად არათანაბარია. ყველაზე უკეთ რკინიგზელები გამოიყურებიან და ჯერჯერობით პირველობას ისეთი პირი უჩანს, რომ „ლოკომოტივს“ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ გზაზე ვერავინ შეეცილება. გასულ უქმეებზე რკინიგზელებმა ვარკეთილში უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — „ხულიგანა“ — უმასპინძლეს. ამ გუნდების პირველი წრის დაძაბული შეხვედრა „ლოკომოტივმა“ 13:5 მოიგო. ამჯერად დებიუტანტებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეს და დიდი ანგარიშით — 11:40 დამარცხდნენ: 5 თამაშის შემდეგ 12 ქულით „ლოკომოტივი“ ერთპიროვნულად ლიდერობს.



მეორე ადგილზე გადაინაცვლა შარშანდელმა ჩემპიონმა „ლელომ“. მას შემდეგ, რაც ბოლო ტურში აუტსაიდერ „ყოჩებს“ 32:20 სძლიეს, ჩემპიონებმა 6 ქულა მოაგროვეს. 4 ქულით მესამე ადგილზეა „ხულიგანა“. მეოთხემეხუთე ადგილებზე „აკადემია“ (3 ქულა) და „ყოჩები“ (1 ქულა) მოდიან.

ხვალ მომდევნო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: **„აკადემია“ — „ლოკომოტივი“, „ხულიგანა“ — „ლელო“.**

პირველ ლიგაში გაიმართა მე-8 ტურის მატჩები. გაუწყებთ მათს შედეგებს: „დინამო“ — „არმაზი“ 24:23, „თელაველები“ — „აია“ 3:20, „ელიტი“ — „უნივერსიტეტი“ 13:29.

სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია: „არმაზი“ — 12 ქულა (8 თამაშიდან), „უნივერსიტეტი“ — 12(7), „დინამო“ — 10(7), „აია“ — 6(7), „ელიტი“ — 4(7), „თელაველები“ — 0(8).

**გიორგი გაგუა**

სანთელი

# რევაზ მახარაძე



**დღეს ქართული საზოგადოებრიობა ეთხოვება სახელოვან ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს“ ძველი გვარდიის თვალსაჩინო წარმომადგენელს რევაზ მახარაძეს.**

მას სტაჟიანი გულშემატკივარი თამაშის გამორჩეული მანერისა და მეტოქეთა კარში გატანილი მრავალი გოლის გამო სცემდა პატივს. დაგვეთანხმებით, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია თავდასხმაში ლეგენდარული ბორის პაიჭაძის ღირსეული პარტნიორობა, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრი გახლდათ.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**„სრ“ სპორტის რედაქცია.**

**სურათზე: 1945 წლის სექტემბერი. მოსკოვის „სტალინეცის“ სტადიონი. სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. მარცხნიდან მესამე — რევაზ მახარაძე.**

ჭიდაობა

# „ყაზარაშვილის ტურნირი“ — ფილას კალენდარში

**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გივი კარტოზიას სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირს კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი შეემატა, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილას) ეგიდით გაიმართა — მსოფლიოს ჩემპიონის, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თემურ ყაზარაშვილის სახელობის რუსთავის საერთაშორისო შეჯიბრება კადეტთა შორის.**

რიგით მეცხრე ტურნირი წლეულს პირველად შეიტანეს **ფილას** კალენდარში.

1989-1990 წლებში დაბადებული კადეტების ხუთი ქვეყნის 137 მოჭიდავე გამოვიდა რუსთავის „აზოტის“ სპორტდარბაზში.

თურქეთიდან ამ ტურნირზე ასპარეზობდა 8 მოჭიდავე, რომლებიც „რიზეჩაის“ სკოლის სახელს იცავდნენ. რვა მონაწილე ჰყავდა ვლადიკავკასელ ქართველ მწვრთნელს **ემზარ ქარელიძესაც,** რომლის აღსაზრდელებიც რუსეთის სახელით გამოდიოდნენ. რუსთავში სომხეთის ორი ქალაქის — ერევნის 12 და გიუმრის 13 საუკეთესო კადეტი- მოჭიდავე ასპარეზობდა, 17 მონაწილე ჰყავდა აზერბაიჯანს.

უცხოელებიდან ყველაზე კარგად თურქებმა იასპარეზეს — მათგან ორი ტურნირის ჩემპიონი გახდა. თითო გამარჯვებული ჰყავთ რუსეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს, ათიდან 5 ჩემპიონი კი საქართველოს მოჭიდავეები გახდნენ. ამ საერთაშორისო ტურნირის საუცხოოდ მოწყობაში მონაწილეობდნენ რუსთავის მერია (დავით ნადაშვილი), ქვემო ქართლის ჭიდაობის ფედერაცია (კობა ლოჩოშვილი), რუსთავის მოჭიდავეთა კავშირი „ერთობა“ (გელა ბურნაძე) და თემურ ყაზარაშვილის მეგობრები.

თავის დროზე „ყაზარაშვილის ტურნირი“ მოგებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონს **მუხრან ვახტანგაძეს,** აგრეთვე სხვა ცნობილ მოჭიდავეებს: ტარიელ მელელაშვილს, ბაკურ გოგიტიძეს...

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **როსტომ აბაშიძემ** ჩვენთან საუბარში კმაყოფილებით აღნიშნა საერთაშორისო ტურნირის რუსთავში გამართვის ფაქტი.

მეცხრე ტურნირის პერიპეტიები ფილას დელეგატმა ბელარუსმა **ვლადიმერ შერბოვმა** ასე შეაფასა:

— კადეტი მოჭიდავეები კარგად იყვნენ ამ ტურნირისთვის მზად, შესანიშნავად იმუშავა რუსთავის ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა, თუმცა რამდენიმე შენიშვნა მაინც მაქვს: არ გვქონდა ელექტრონული აპარატურა (ქრონომეტრი) ქულების შეფასებისთვის, კომპიუტერული პროგრამა სამდივნოსთვის.

**ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელს ჭიდაობის წესების ხშირ ცვლილებებზეც შევეკითხეთ, რაზეც მან ასეთი პასუხი გაგვცა:**

— სხვადასხვა ორთაბრძოლების საერთაშორისო ფედერაციების ენერგიულ და ფულიან პრეზიდენტებს სურთ, რომ თავიანთი სახეობები ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანონ და ამისთვის არაფერს არ იშურებენ. ოლიმპიადის უძველესი ბინადარი — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა მაყურებლისათვის უფრო სანახაობითი რომ გახდეს, ფილა ამისთვის ყველაფერს აკეთებს. ამჟამად თქვენც კარგად ხედავთ, რომ სანახაობრივად იგი შედარებით გაუმჯობესდა, 2-3 წელიწადში ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და წესებიც



ხშირად აღარ შეიცვლება, — თქვა ვლადიმერ შერბოვმა.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მესვეურები ფიქრობენ, რომ „ყაზარაშვილის ტურნირი“ კადეტთა ევროპის ან მსოფლიო პირველობის წინ ჩაატარონ, რათა იგი ერთ-ერთი შესარჩევი შეჯიბრება გახდეს. მომავალი წლიდან ტურნირის მოწყობაში უფრო აქტიურად ჩაერთვება. ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, რუსთავის მერია კი თავის ბიუჯეტში გაითვალისწინებს ამ საერთაშორისო ტურნირს.

„ყაზარაშვილის ტურნირზე“ ბევრი კარგი მოჭიდავე გამოდიოდა. მაგალითად, თურქი მძიმეწონოსანი მირზა კონიაპი, რომელიც წლეულს ტირანაში (ალბანეთი) ევროპის ჩემპიონი გახდა კადეტთა შორის. მან რუსთავშიც კარგად იჭიდავა და იქაც ყველას აჯობა.

ტურნირის დღეებში რუსთავის საპატიო მოქალაქის მოწმობა გადასცეს თემურ ყაზარაშვილს. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონი რუსთავში დაოსტატდა დამსახურებულ მწვრთნელ **ომარ გუგეშაშვილთან.**

გაგაცნობთ თემურ ყაზარაშვილის სახელობის მეცხრე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულებს:

42 კგ. ზურაბ ტატუნაშვილი, 46 კგ. არჩილ თურმანიძე,ვ 50 კგ. პაატა ბაკურიძე (ყველა საქართველო), 54 კგ. რობერტ ოგანესიანი (სომხეთი), 58 კგ. რახმან ბილიჯი (თურქეთი), 63 კგ. გიორგი ბიტიევი (რუსეთი), 69 კგ. გოჩა ჯერენაშვილი (საქართველო), 76 კგ. ელმადინ აბდულაევი (აზერბაიჯანი), 85 კგ. ჯონი ნინიძე (საქართველო), 100 კგ. მირზა კონიაპი (თურქეთი).



**გაბრიელ ბარჯაძე.**

**სურათებზე: თეიმურაზ ყაზარაშვილი; ასპარეზობის მომენტი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

ჭადრაკი

# „მშვიდობის ელჩის“ პირველი აქცია

**ახლახან დაარსდა საქველმოქმედო მოძრაობა „ჭადრაკი — მშვიდობის ელჩი“, რომლის ინიციატორი გახლავთ ცნობილი ქართველი დიდოსტატი ანა მათნაძე. წამოწყებას მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასეც იყო ჩაფიქრებული — ახალ იდეას საერთაშორისო რეზონანსი უნდა მიეღო.**

მოძრაობის ორგანიზატორებმა პირველი მასშტაბური ღონისძიებაც გამართეს: წინა კვირას ჭადრაკის სასახლეში ბლიცტურნირი მოეწყო, რომელსაც საქველმოქმედო აქცია უძღოდა — ასპარეზობის მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა დასავლეთ საქართველოში სტიქიით დაზარალებულთათვის საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი და პირველადი მოხმარების საგნები შეაგროვეს.

რაც შეეხება ტურნირს, იგი უშეღავათო და მძაფრი გამოდგა. პირველობისთვის 48 მოჭადრაკე იბრ-



ძოდა შვეიცარიული სისტემით. 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით ყველას კონსტანტინე შანავამ აჯობა. 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ლევან ფანცულაია და დავით არუთინიანი გავიდნენ. 6,5-6,5 ქულით IV-VIII ადგილები თორნიკე სანიკიძემ, გიგა ყუფარაძემ, სოფიო გვეტაძემ და დავით ზარქუამ გაიყვეს.

**ლექსო ცინცაძე**

სპორტულ ორბიტაზე

## სტარტზეც და ფინიშზეც

**სტარტზე გამარჯვებით დაიწყო ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 56-ე მსოფლიო ჩემპიონატი „რენოს“ 24 წლის ესპანელმა პილოტმა ფერნანდო ალონსომ. ის ჯერ კიდევ ორი ტურით ადრე პირველად დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის „ტახტს“, მაგრამ არც ბოლო ეტაპზე — „ჩინეთის გრან-პრიზე“ — შეუწყვეტია ჩემპიონური სვლა, მშვიდე გამარჯვება მოიპოვა და ამით თავის საჯინიბოც უზრუნველყო „კონსტრუქტორთა თასით,“ რაშიც „მაკლარენი“ ეცილებოდა.**



„რენოს“ ამ დიდ გამარჯვებას გულთბილად მიესალმა შანხაის ავტოდრომზე შეკრებილი ათიათასობით მაყურებელი. აღსანიშნავია, რომ ახალბედა ჩემპიონი სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა.

მეორე ადგილზე გამოვიდა ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი — „მაკლარენის“ ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი, მესამე იყო რალფ შუმახერი („ტოიოტა“), მისი უფროსი ძმა — შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი 23-ე წრეზე გამოეთიშა რბოლას.

ბოლო, მე-19 ეტაპის შემდეგ მესამე ადგილი მაინც ახლა უკვე ექსჩემპიონმა შეინარჩუნა — 60 ქულა. მეოთხეზე კი ჩემპიონის თანაგუნდელი ფიზიკელაა — 58 ქულა.

კონსტრუქტორთა თასზეც ადგილები ანალოგიურად „განაწილდა“ — 1. „რენო“ — 191, 2. „მაკლარენი“ — 182. 3. „ფერარი“ — 100 ქულა.

**სურათზე: „ფორმულა-1“-ის ტრიუმფატორი ფერნანდო ალონსო.**

## ბოლო ტურმა ყველაფერი დაალაგა

**მართალია, ჭადრაკში ახალი მსოფლიო ჩემპიონი ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გამოვლინდა. — ეს საპატიო ტიტული ბულგარელმა დიდოსტატმა ვესელინ ტოპალოვმა მოიპოვა, მაგრამ ბოლო, მე-14 ტურს კიდევ ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა — კერძოდ, თუ ვინ იქნებოდა ვიცე-ჩემპიონი, რასაც, კარგა ხანია, რუსეთელი პეტრე სვიდლერი ერთპიროვნულად უმიზნებდა, მაგრამ ბოლო ტურებში ძალზე მძლავრად ათამაშდა ინდოელი ვიში ანანდი, ის რუსეთელ კოლეგას წამოეწია. საბოლოოდ მეორე ადგილის ბედი სწორედ ამ ორი დიდებული მოჭადრაკის დუელს უნდა გადაეწყვიტა. შავებით ანანდი თამაშობდა. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-19 სვლაზე დიდოსტატები ყაიმზე შეთანხმდნენ და მეორე ადგილი ანანდის მიეკუთვნა.**

ბოლო ტურში ლეკომ დაამარცხა კასიმჯანოვი, ხოლო ყაიმზე შეთანხმდნენ მოროზევიჩი და ადამსი, აგრეთვე, ტოპალოვი და პოლგარი.

საბოლოოდ ტურნირის მონაწილენი ასე „დალაგდნენ“ — 1. **ტოპალოვი** — 10 ქულა, 2. **ანანდი** — 8,5; 3. **სვიდლერი** — 8,5; 4. **მოროზევიჩი** — 7,5; 5. **ლეკო** — 6,5; 6-7. **კასიმჯანოვი, ადამსი** — 5,5 — 5,5; 8. **პოლგარი** — 4,5.

## მსაჯობამ ქალურობა შეიძინა



**ფეხბურთის, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებს, მსაჯობაში თანდათან ფეხს იკიდებენ ქალები. ახლა მათი გამოჩენა მინდორზე ეგზოტიკურად თითქმის აღარავის ეჩვენება. დროების ახალმა სიომ დაბერა ინგლისურ ფეხბურთშიც — 18 წლის ლაიზა რაშიდი პირველი ქალია, რომელსაც პრემიერ-ლიგის მატჩების მომსახურება მიანდეს. სასტვენი მისი სამსახურებრივი იარაღია ბოლო ოთხ წელიწადში, ასე რომ, ახალ სიმაღლეზე ასვლას არ შეუშინებია ბირმინგემელი ქალიშვილი.**

თუმცა ის დიდ ფეხბურთში პირველი მერცხალი როდია. მსაჯმა ქალებმა გზა გაიკაფეს ორი ევროპული დიდი ტურნირისკენ. ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად ქალი — ფრანგი ნელი ვიენნო მსაჯობდა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და იტალიის „მილანის“ შეხვედრაში, მაგრამ იგი მხოლოდ გვერდითი მსაჯი იყო.

14 აგვისტოს კი ქალები გამოჩნდნენ უეფას თასზეც — 36 წლის შვეიცარიელი ნიკოლ პეტინიატი მთავარი მსაჯი იყო შვედეთში, ადგილობრივ აიკ-ისა და ისლანდიის „ფილკირკის“ შეხვედრაში.

## მსახიობმა ქალმა გადასძალა

**გერმანიაში გატარებული რამდენიმე სეზონის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა პოპულარული ამერიკელი ფეხბურთელი ლენდონ დონოვანი. განა რამ შეუშალა მას ხელი, დარჩენილიყო იმ ქვეყანაში, სადაც მომავალ ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს? მასში კი ამერიკის ნაკრებიც მოხვდა.**

როგორც აღმოჩნდა, წყნარი ლევერკუზენი, სადაც ის „ბაიერნში“ თამაშობდა, დაატოვებინა მისი გულისსწორის, ამერიკელი მსახიობი ქალის ბიანკა კაილიჩის კატეგორიულმა მოთხოვნამ. თბილ კალიფორნიას მიჩვეულ ქალბატონს შედარებით ცივ გერმანიაში საქმროსთან გადასვლა სიკვდილის ტოლფასად მიაჩნდა. ამიტომაც დონოვანი იძულებული გახდა, „ლოს-ანჯელეს გალიქსიში“ გადასულიყო სათამაშოდ.

ახლა, როგორც ამბობენ, ქორწინებაც შორს აღარაა. აბა, ფულისა და კარიერის გამო უარს როგორ ეტყოდა ასე ლამაზ ქალს.



მოკლედ

## „კრემლის თასის“ ტრიუმფატორები

**ამ დიდი საჩოგბურთო ტურნირის ნახევარფინალები ძალზე ტრაგიკული გამოდგა მასპინძლებისთვის. თავის 24-ე დაბადების დღეზე ელენა დემენტიევა დამარცხდა ფრანჩესკა სკიავონესთან, ხოლო დინარა საფინა — მარი პირსთან. თუმცა სწორედ დინარას მიიჩნევდნენ მარია შარაპოვას დამარცხების შემდეგ ფავორიტად. ფინალი მარი პირსის უპირატესობით წარიმართა და გაიმარჯვა კიდევაც — 6:4, 6:3.**

ვაჟთა ფინალში ერთმანეთს მასპინძელი იგორ ანდრეევი და გერმანელი ნიკოლოს კიფერი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველი სეტი ტრავმირებულმა იგორმა



დათმო (5:7), მაგრამ შემდეგ ძალები მოიკრიბა და ორი სეტი ზედიზედ მოიგო — 7:6, 6:2 და „კრემლის თასსაც“ დაეუფლა.

**სურათზე: იგორ ანდრეევი.**

## გაიმარჯვა, თუმცა რეკორდი ვერ დაამყარა



**ამსტერდამში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო მარათონზე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 10 ათას მეტრზე სირბილში, 32 წლის ეთიოპიელი ჰაილე გებრესელასიე მსოფლიო რეკორდის დამხობას აპირებდა. ის კი 2003 წლის 28 სექტემბრიდან ეკუთვნის კენიელ პოლ ტორგატს (2:04,55). თუმცა 35 კილომეტრი მან რეკორდულზე სწრაფად გაირბინა, მაგრამ შემდეგ ტემპი დააგდო და მხოლოდ გამარჯვებისთვის აუცილებელი დრო აჩვენა — 2:06,20.**

## ჩუბინიც ასეთი უნდა

**ჩინელმა ჩენ უნტიანმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა მცირე კალიბრიანი პისტოლეტით სწრაფად სროლაში. მან ეროვნულ თამაშებზე 25 მეტრ დისტანციაზე 591 ქულა დააგროვა. ადრინდელი რეკორდი (589) წლევანდელი აგვისტოდან ეკუთვნოდა რუსეთელ სერგეი ალიფირენკოს.**

⊙ საეკლესიო კალენდარი

# ღირსი გრიგოლ ხანძთელი

## 18 ოქტომბერს ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს გრიგოლ ხანძთელს, კლარჯეთის სავანის აღმაშენებელსა და არქიმანდრიტს

**VIII საუკუნეში, მურვან ყრუსგან გაუდაბურებულ კლარჯეთში ღვთივ სულიერი კაცი — ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი ჩავიდა. გრიგოლი დიდგვაროვანთა შვილი იყო და ნერსე ერისთავის კარზე იზრდებოდა — „საშოით განვე დედისაით შეწირულ ღმრთისა დედისაგან თვისისა“. მას მღვდლობის სურვილი ჰქონდა, მაგრამ უდიდეს მოვალეობასაც გრძნობდა და უარი შეჰკადრა ერისმთავარს და მშობლებს: „აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინისო“. ახლობლებმა მაინც დაითანხმეს და მალე გრიგოლს მღვდლობა უბოძეს.**



წმიდა გრიგოლი კლარჯეთს წავიდა და თან წაიყვანა სამი თანამოსაგრე: საბა-იშხნის განმაახლებელი, თეოდორე — ნეძვის მაშენებელი და ქრისტეფორე — კვირიკეთის მაშენებელი. ძმები ქართლიდან მესხეთს ჩავიდნენ და ოპიზის მოძღვართან, ამბა გიორგისთან ორი წელი ილვაწეს. იქაური ბერებისგან მან ისწავლა ლოცვა, მდუმარება, სიმშვიდე, სიყვარული და სიმდაბლე; ხოლო ხანძთელი ბერისგან წმიდა ხუედიოსისაგან შეიტყო, რომ ღმერთმა ადრე გამოუცხადა მას, გრიგოლ მღვდელი ამ ადგილას მონასტერს ააშენებსო.

გრიგოლი და მისი ძმები შეუდგნენ ხანძთის ეკლესიის აშენებას. ხანძთელი აზნაური — გაბრიელი დაეხმარა მათ ეკლესიის აშენებაში.

...არაბთა ბატონობისგან სასომიხდილ საქართველოში კლარჯეთის უდაბნო იყო სიცოცხლის მომნიჭებელი ოაზისი. აქ საღვთო მადლით აღვსილი მამები მოღვაწეობდნენ.

არსებობს გადმოცემა, რომ თურმე ბევრჯერ უნახავთ გრიგოლ ხანძთელი, ხელაპყრობით ლოცვად დამდგარი, მზესავით ბრწყინავდა და მისი სხეულიდან ნათლის ისარნი ჯვრის სახედ გადმოდიოდნენ... ღირსი გრიგოლის ლოცვით ავადმყოფები განკურნებულან... მადლით სავსე მამა გრიგოლი 102 წლის ასაკში გარდაცვლილა. იგი დაკრძალულია ხანძთის მონასტერში.

**მოამზადა
გიული ლიპარტიამ.**

# განცხადება

## (სს „ტელენეტის“ აქციათა გამოსყიდვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე)

**სს „ტელენეტის“** აქციათა გამოსყიდვის მიზნით, **„გამოსყიდვის საარიცხვო თარიღად“** დადგენილია 2005 წლის 26 სექტემბერი, რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.

გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:

სს „ტელენეტის“ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე განთავსებულია აქციების გამოსყიდვისათვის საჭირო თანხა (ერთი აქცია — 40 თეთრი), რომლის მიღებაც, გამოსყიდვის რეესტრში ხელის მოწერის შემდგომ, აქციონერებს შეუძლიათ საბროკერო კომპანია **„საქართველოს საინვესტიციო ჯგუფში“**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. №24.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოხდება დარჩენილი გამოსასყიდი თანხის დეპონირება და აქციები გადავა მყიდველის საკუთრებაში.

აქციონერებს საბროკერო კომპანია „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის“ ანგარიშის გაცნობა (რომელშიც მითითებულია გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრულ აქციათა ფასი), შეუძლიათ სს „ტელენეტის“ რეგისტრატორთან შპს „კომპანია-ცენტრთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 22-53-51.

*პატივისცემით,*
**ირაკლი რუხაძე**
„ტელეკომ ჯორჯია გრუფის“ სახელით
2005 წლის 18 ოქტომბერი.

ხსოვნა

## თენგიზ დოლიძე



წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, უდიდესი პატრიოტი და კოლორიტი ადამიანი **თენგიზ ვლადიმერის ძე დოლიძე.** იგი დაიბადა 1937 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში.

მთელი თავისი ცხოვრება ბატონი თენგიზი გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და სიმართლის ძიებით. წიგნზე შეყვარებული სულ მუდამ თან წიგნებს დაატარებდა და დღენიადაგ იმდიდრებდა ცოდნას. ამიტომაც 1955 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა იმჟამინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კიბერნეტიკის ფაკულტეტზე. 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მან 1964 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1960 წელს კიბერნეტიკის ინსტიტუტში ელექტრო-ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც 1964 წლამდე იმუშავა. 1964 წლიდან მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამოთვლითი ტექნიკის კათედრის ლაბორატორიაში ინჟინრად. 1967 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე — „საკითხების გამოკვლევა, კვანძების ეფექტიანობის ამაღლება და გამოთვლითი ციფრული ელექტრომანქანების ეფექტური ექსპლუატაცია“. 1968 წელს მიენიჭა ტექნიკური მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1974 წელს გახდა მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის დოცენტი. 1977 წელს საინჟინრო-პედაგოგიური მოღვაწეობა გააგრძელა „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების“ კათედრაზე, სადაც იმუშავა 2003 წლამდე. მას გამოთვლით ტექნიკაში გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი მეცნიერული ნაშრომი. 1987-88 სასწავლო წლებში ინსტიტუტის საორგანიზაციო მეთოდური კონტროლის კომისიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის მას გამოეცხადა მადლობა, რამეთუ ის კეთილსინდისიერად, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ასრულებდა მის პროფესიულ თუ მოქალაქეობრივ მოვალეობას.

თენგიზი გახლდათ ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნის“ ერთ-ერთი წამყვანი ლექტორი. დაუზარებლად მოგზაურობდა საქართველოს რეგიონებში, სადაც კითხულობდა ლექციებს საზოგადოების ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. მისთვის მთავარი ღირებულება და ცხოვრების მიზანი განათლებული ადამიანების აღზრდა იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ასე ამბობდა: „მე ბედნიერი ადამიანი ვარ იმით, რომ მაქვს საფუძვლიანი განათლებაო“. იგი მეცნიერების თითქმის ყველა დარგს სიღრმისეულად იცნობდა. მიუხედავად იმისა, რომ განათლებით ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენელი იყო, შესანიშნავად ფლობდა საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. სულით რომანტიკოსი, აზროვნებით ფილოსოფოსი შესანიშნავად ფლობდა საუბრის ორატორულ ხელოვნებას. მას ჰქონდა საოცრად ხავერდოვანი ხმა. შესანიშნავად მღეროდა. სპორტითაც იყო გატაცებული, ახალგაზრდობაში შესანიშნავი მკლავჭიდელი გახლდათ. ამ პიროვნებაში ჰარმონიულად იყო თავმოყრილი ბუნებრივი ნიჭიერება, დიდი ბუნება და უსპეტაკესი სული.

ძნელია ჩვეულებრივი მოკვდავის ყოველმხრივ სრულყოფილებაზე ისაუბრო, მაგრამ თენგიზ დოლიძე ნამდვილად გახლდათ პიროვნების სრულყოფილების ნამდვილი სახე.

გალაკტიონ ტაბიძემ თავის დროზე თქვა: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“. გენიალური გალაკტიონის ფრაზები რომ განვაზოგადოთ, ვინც შენ გიცნობდა, მათთვის ყველასთვის ნათელია — „თუ რას იტყვის შენზე შთამომავლობა“.

ჭეშმარიტი ინტელიგენტი მოკრძალებულად ცხოვრობდი. მრავალი გაჭირვება აგიტანია, მაგრამ არასოდეს დაცემულხარ სულით, არ გიღალატია შენი პრინციპებისთვის. იცხოვრო საერო ცხოვრებაში ასკეტური სისპეტაკით, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ გმირობაზე მეტია...

მარადიული ხსენება შენს წმინდასა და დიდ სახელს, ჩემთვის ყველაზე ძვირფასო ადამიანო!..

**თამარ დოლიძე.**

⊙ გვემრავლოს!

## ლიზი — პირველი სიხარული



**ჩაჩავას** სახელობის სამეანო გინეკოლოგიურ ინსტიტუტში პირველი შვილი — ლიზი შეეძინა ცნობილ მომღერალ თამთა ჭელიძეს. გაიხარა კილაძეებისა და ჭელიძეების ოჯახმა. სიხარული შეიძლება გაათმაგებულიც იყოს იმ გარემოებით, რომ თამთას მეუღლის, ჯაბა კილაძის მშობლებს, ცნობილ მსახიობებს, ციცინო კობიაშვილსა და თემურ კილაძეს და თამთას მშობლებსაც, ასევე ხელოვნების მუშაკებს იზოლდა ჭყოიძეს და სანდრო ჭელიძეს მხოლოდ თითო შვილი ჰყავთ.

განსაკუთრებული სიხარული აქვთ თამთას ბაბუასა და პატარა ლიზის დიდ ბაბუას, ცნობილ ჟურნალისტს გივი ჭყოიძეს და დიდ ბებიებს ჟუჟუნა მაღრაძესა და რამდენიმე თაობის აღმზრდელს, მეთოდისტ-პედაგოგ ნათელა კაკაბაძეს.

ულრმესი მადლობა ამ დიდი სიხარულისთვის ზემოაღნიშნულ სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებს მისი მთავარი ექიმის ბატონ ელგუჯა გოცირიძის ხელმძღვანელობით. ჩემს კაფანდარა თამთას, კი კიდევ ერთხელ ვულოცავ.

ეს ერთი და სხვა მრავალი.

**ბედნიერი ბაბუა
გივი ჭყოიძე.**

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**

⊙ ცოტაც გავიცინოთ...

**— ახლახან ჩემი სიდედრი შემთხვევით გველების გამოფენაზე მოხვდა.**
**— მერე?**
**— გრან-პრი მოიპოვა.**

* * *

**— ოი, ვერ წარმოიდგენთ, ივანს რა უბედურება შეემთხვა!**
**— რა უბედურება?**
**— გარდაიცვალა.**

* * *



**გავიდა მოხუცი მებადური ზღვის სანაპიროზე. გადააგდო ზღვაში თავისი ცოლი. და დაიწყო ბედნიერად ცხოვრება.**

* * *

**ცხადია, ბედნიერება ფულის ოდენობაზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ, უმჯობესია, იტირო ლიმუზინში, ვიდრე ტროლეიბუსში.**

* * *

**— როგორია ავადმყოფის მდგომარეობა?**
**— ორი მილიონი დოლარი აქვს ანგარიშზე.**
**— მაშინ დავიწყოთ ოპერაცია.**

* * *

**— ექიმო, ჩემი ოპერაცია ძალიან საშიშია?**
**— თქვენი აზრით, ორასდოლარიანი ოპერაცია საშიში იქნება?**

* * *

**— ოფიციანტო, ჩემს წვნიანში ბუზი დაცურავს!**
**— მაპატიეთ, სერ, მაგრამ იგი ვერ იცურავებს, რადგან მკვდარია...**

* * *

**— აბა, მითხარი, ვინ იყო პირველი ადამიანი? — ეკითხება სალვთო სჯულის მასწავლებელი მიხოს.**
**— ადამი.**
**— რა საშინელი სასჯელი მოუვლინა მას ღმერთმა?**
**— ევა.**

* * *

**ახალ ქართველს ბიჭი შეეძინა. ცოტა ხნის შემდეგ მან ძმაკაცები დაპატიჟა შინ, ნახეთ, როგორ დგამს ჩემი მემკვიდრე პირველ ნაბიჯებსო. ბავშვი ბორძიკით დადიოდა, წაიქცეოდა, ადგებოდა და ასე წვალებით მივიდა მერსედესამდე, ჩაჯდა და მანქანა დაძრა. გაოგნებულ ძმაკაცებს პირი ღიად დარჩათ.**
**— ეს როგორ? — კითხულობენ.**
**— მთლად მე მგავს, — ამაყად ამბობს მამა. — პატარაობისას არც მე მყვარებია ფეხით სიარული.**

* * *

**მორიგი სკანდალის შემდეგ ცოლი ქმარს ეუბნება:**
**— დღეს დედაჩემთან მივდივარ, მაგრამ გაფრთხილებ: ჩვენ დავბრუნდებით!**

* * *

**პრინცესას ყოველწლიურად სულ უფრო ტკიოდა თავი: პრინცესა იზრდებოდა, გვირგვინი კი არა!**

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**
**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**
**თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

⊙ კონკურსი

# პიანისტთა კონკურსი — 2008 წელს

**მუსიკალურ-კულტურულ** ცენტრში საზოგადოების აკადემიურად შენიღბული მღელვარება და მოლოდინი გაცნობიერებული შეხვედრით იყო განპირობებული... აქ პიანისტთა მესამე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა ვინაობა უნდა ყოფილიყო გაცხადებული — კლასიკურ ინტერიერში გამეფებული სიჩუმე კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ მანანა დოიჯაშვილმა დაარღვია.

ბუნებრივია, კონკურსი არ შედგებოდა, რომ არ არსებობდეს თანაგრძნობა და ქველმოქმედება — ადამიანური მორალის ეს ორი უმაღლესი და უნატიფესი გამოვლინება... მადლობა მათ, ვინც არა მხოლოდ მატერიალურად დაგვეხმარა, არამედ კეთილი სიტყვითაც შეგვეწია. მათ, ვინც თავიანთი ჩამობრძანებით არა მარტო დაამშვენა ეს დღესასწაული, არამედ ავტორიტეტი შემატა მას. ამ კონკურსში მოგებულია არა მხოლოდ ის, ვინც გახდა ლაურეატი, არამედ ისიც, ვინც დარჩა ფინალს მიღმა. სტუმართა ერთსულოვანი აზრით, გამოვლინდა ქართული საშემსრულებლო ხატოვნების მაღალი დონე, ამ ტრადიციებს გაფრთხილება სჭირდება, რადგან პიანისტთა კადრების აღმზრდელი ერთ-ერთი კერა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაა, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაშია და ამ საზეიმო დღეს თავს უფლებას ვაძლევ, მოგმართოთ თხოვნით, დავეხმაროთ ამ უნიკალურ სკოლას.



... ამ მოკრძალებული რეზუმეს შემდეგ ორკვირიანი კონკურსის ფინალური კულმინაცია გულთბილი ემოციებისა და ექსპანსიური ვნებების ლაბირინთებით წარიმართა... მაინც, ვინ დასახელდა საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ? ვინ დაიმსახურა გრან-პრი? ვინ გახდა ბრინჯაოს „ჯადოსნური ბგერისა“ და მოოქროვილი „მუზის“ მფლობელი?...

**დანიილ ცვეტკოვს (რუსეთი)** ჟიურის მრავალეროვნული შემადგენლობის ერთსულოვნებით გადაეცა **კონკურსის გრან-პრი** — 15000 აშშ დოლარი, ამის გარდა მანვე დაიმსახურა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ჯილდო „ნახევარფინალში სოლო პროგრამის საუკეთესო შესრულებისთვის“ — მოოქროვილი ბრინჯაოს მცირე ქანდაკება „მუზა“ და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი — „ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის“. მან არაჩვეულებრივად გაიაზრა და მხატვრულ-საშემსრულებლო სამოსში მოაქცია მერი დავითაშვილის საფორტეპიანო პიესა „ხორუმი“, რომელიც კონკურსისთვის სავალდებულო ნაწარმოებად იყო შერჩეული.



**პირველი პრემია** „ბობ მეიერის პრემია“ — 10.000 აშშ დოლარი მიაკუთვნეს **თამარ ბერაიას (საქართველო),** ამასთან ერთად ინტელექტბანკის პრიზი „საუკეთესო ქართველ შემსრულებელს“ — წლიური სტიპენდია 1200 აშშ დოლარის ოდენობით, ახალგაზრდა მუსიკოსშემსრულებელთა დახმარების ფონდ „SOLO“-ს ჯილდო „საუკეთესო ქართველ შემსრულებელს“ — კონცერტი ავსტრიაში და „Ludomusic“-ის სკოლის ჯილდო „საუკეთესო ქართველ შემსრულებელს“.



**მეორე პრემია** — 7000 აშშ დოლარი ერგო **ხატია ბუნიათიშვილს (საქართველო)** თბილისის მერიის სპეციალური ჯილდოს თანხლებით გამოვლენილ საშემსრულებლო არტისტიზმისთვის — ბრინჯაოს მცირე ქანდაკება „ჯადოსნური ბგერა“.

**დიცუ ციაო (ჩინეთი)** დასჯერდა მესამე პრემიას — 5000 აშშ დოლარს, **ირინა ჭარუაშვილი (საქართველო)** კი მეხუთე პრემიას — 3000 აშშ დოლარს, მეოთხე პრემია — 4000 აშშ დოლარი **დენის უდანოვმა (უკრაინა)** აიღო, მანვე დაიმსახურა „კლასიკური სონატის საუკეთესო შესრულებისთვის“ „ინტელექტბანკის“ სპეციალური პრიზი 1000 აშშ დოლარი.

კონკურსის ნახევარფინალის მონაწილეებს გადაეცათ დიპლომები და თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზის ჯილდო — „კომპაქტდისკი III ტურის ჩანაწერით“.

წამახალისებელი პრიზი „ფინალის მიღმა დარჩენილი საუკეთესო შემსრულებელი“ გახდა **მარტინ ტიმას დენ ჰენგსტსი (ნიდერლანდები).**

... კლასიკური დაძაბულობა მუსიკალურ ცენტრში ლაურეატთა მრავალფეროვანი საშემსრულებლო პალიტრით შეიცვალა. გალაკონცერტზე ირინა ჭარუაშვილმა ლისტის, პაგანინის თემაზე შექმნილი დიდი ლა მინორული ეტიუდი შემოგვთავაზა, დენის უდანოვმა რახმანინოვის ორი ეტიუდი-სურათი აახმაურა, დიტუ ტიაომ შოპენის ეტიუდები მინორულ ტონალობებში ააჟღერა, ხატია ბუნიათიშვილმა რაველის ფა-დიეზ მინორულ სონატინას მისეული ტემპერამენტულ ტონები შესძინა, ხოლო ლისტის „მეფისტო-ვალსს“ მეტი მელანქოლიურობა დაუკავშირა. თამარ ბერაიამ სკარლატის სონატასა და რახმანინოვის ეტიუდსურათში მისეული ვირტუოზულობა გამოავლინა, დანიილ ცვეტკოვმა მერი დავითაშვილის „ხორუმი“ და მოცარტი-ლისტის „მოგონებები დონ-ჟუანზე“ მისეული მამაკაცური შესრულება აკადემიურობას შეუთავსა.

... როგორც ცნობილია პიანისტთა თბილისის მესამე საერთაშორისო კონკურსმა მსოფლიო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსით უმასპინძლა ახალგაზრდა შემსრულებლებს. ფედერაცია წარმოადგენს მსოფლიოში აღიარებული ორგანიზაციების და ასოციაციების გლობალურ ქსელს, რომელიც კონკურსების საშუალებით პოულობს პერსპექტიულ ახალგაზრდა მუსიკოსებს და ზრუნავს მათ შემდგომ კარიერაზე. ამ პრიორიტეტულ კოორდინაციას უერთდება პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი, რომელმაც შეიტანა განაცხადი 2008 წელს ასამბლეის ყოველწლიური სესიების ამჯერად, თბილისში გამართვის შესახებ. ასე რომ, პიანისტთა კონკურსის გაგრძელებას განახლებული იდეებით 2008 წელს შევხვდებით...

**მზეხა მახარაძე**

**სურათებზე: კონკურსის ლაურეატები — თამარ ბერაია, ხატია ბუნიათიშვილი და დანიილ ცვეტკოვი.**

---

ჯიმი, ნაილე, მარიკა, ფრიდონ (ხათო) მიქელაძეები, თამრიკო მაჭავარიანი, ალექსანდრე (საშა) ნეფედოვი ღრმა მწუხარებით იუწყებიან დეიდაშვილისა და ბიძის

დიმიტრი (დიმა) რატიანის

გარდაცვალებას.

---

ბიძაშვილები გულერი, ნუნუ, ნინი ჩხეიძეები, დეიდაშვილები ლამარა პაპავა, გურამ, ვიოლეტა ლეჟავები, მედიკო, მაგული ლორთქიფანიძეები, მურთაზ, ჯიმი, ლალი, მზია მიქელაძეები, ჯუნა, ვალერი მხეიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

დიმიტრი (დიმა) რატიანის

გარდაცვალებას.

---



მეუღლე მერი მინდიაშვილი, შვილი ნინო კობახიძე, სიძე ირაკლი მამუკელაშვილი, შვილიშვილი დალი მამუკელაშვილი, ცოლისდა მაყვალა მინდიაშვილი, რძალი ნანა აფრიდონიძე, ანანო, მძახლები, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალბერტ (ატეტი) ვალერიანის ძე კობახიძე

პანაშვიდი 18, 19 X, 16 სთ. დაკრძალვა 20 X, 14 სთ. ზაქარიაძის ქ. 15, 1 სად, ბ. 6 (მეტრო „გოცირიძე“).

---



დედა ცაცა ნიკოლაიშვილი-ძიგრაშვილი, შვილები ანა, ბაქარი კუჭავები, და-ძმა ნუნუ, დათო გამგონეიშვილები, რძლები ლელა ცერცვაძე, ნინო კობახიძე, სიძეები ირაკლი ნაფეტვარიძე, ბონდო ბუბაშვილი, შვილიშვილები ნინო, გიორგი კუჭავები, სალომე ნაფეტვარიძე, დისწულები თამუნა, ლევან ბუბაშვილები, ძმისწული ანა გამგონეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანა ოთარის ასული გამგონეიშვილი

პანაშვიდი 18, 19 X, 17 სთ. მისამართი ნუცუბიძის მე-3 მკრ. მე-3 კვარტალი, მე-10 კორპუსი, ბინა 35. გამოსვენება 20 X, კუკიის ეკლესიიდან 14 საათზე.

---

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ცენტრის ექიმი ოტოლარინგოლოგი

იოსებ (სოსო) თათარიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის კათედრა და თსსუ-ის კლინიკური ენდოკრინოლოგიისა და მეტაბოლოგიის დეპარტამენტი გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას კათედრის ასისტენტის ლეილა კომშიაშვილის მეუღლის

თამაზ მარინაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ნინო, ქეთი ჯაფარიძეები, შვილიშვილები ელენე, ლევან ცუცქირიძეები, ნიკო დოლიძე, სიძეები ვაჟა ცუცქირიძე, ლაშა დოლიძე, გოგი ბერიშვილი, ცოლისდა ჟუჟუნა ლეჟავა ოჯახით, ცოლისძმა ნოდარ ყიფიანი ოჯახით, დისწული მარიკა ბერიშვილი, მძახლები ლევან ცუცქირიძე, ლილი ძლიერიშვილი, გურამ დოლიძე, მამიდაშვილები და ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ამირან ვახტანგის ძე ჯაფარიძე

პანაშვიდი 18, 19 X, 16 სთ. დაკრძალვა 20 X, 15 სთ. გამოსვენება თბილისი, საბურთალოს ქ. №37/4, IV სადარბაზო.

---

უახლოესი მეგობრები პალიკო კინტრაია, ზურაბ ჩიქოვანი, ოთო შარაშიძე, ედუარდ წიფურია, დალი ბარათაშვილი, მანანა შანიძე, რეზო მესხი ოჯახებით იუწყებიან დამსახურებული ექიმ მეან-გინეკოლოგის

ქეთევან შავანგირაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 20 X. ბოლნისში, სულხან-საბას, 104.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა იუწყებიან დამსახურებული ექიმ-მეან-გინეკოლოგის, ასოციაციის პრეზიდიუმის წევრის, ბოლნისის ყოფილი მთავარი მეან-გინეკოლოგის

ქეთევან შავანგირაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.